ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## ედუარდ სააკაშვილი: „მიშას ურჩევნია, თბილისში ციხეში იჯდეს. მას უნდა, რომ ისტორიული ფიგურა იყოს“



გვ.2

ხუთშაბათი, 25 ნოემბერი, 2021 №223 (8752) ფასი: 60 თეთრი

# „სააკაშვილის შეწყალება საუკეთესო გამოსავალია“



ვახტანგ ძაბირაძე: „სააკაშვილის ფაქტორმა მობილიზება გაუკეთა არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის, არამედ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველსაც“



გვ.4

## „მიშამ ფსონი საკუთარი სიცოცხლით დადო, ბიძინამ მისი სიცოცხლით ითამაშა“



გვ.2

გია ხუხაშვილი: „ოპოზიციამ ბრძოლა მოიგო, მაგრამ ეს პოლიტიკური ომის მოგებას არ ნიშნავს“



გვ.3

## „ორთვიან მარათონში მაინც „ოცნებამ“ გაიმარჯვა“

თორნიკე შარაშენიძე: „ნაციონალები ხომ უნდა გამოვიდნენ ოდესღაც 2003 წლიდან?!“

## მიხეილ სარჯველაძე: „პრემიერ-მინისტრის ინიციატივები მხარდაჭერას ნამდვილად იმსახურებს“

გვ.2



## დათო ლორთქიფანიძე: „დროა, ხელისუფლებამ სამართლებრივად იმოქმედოს“



გვ.4




გვ.4

## „ბათუმის საკრებულოში „ოცნებაში“ გადასასვლელად დეპუტატ ფუტკარაძეს 100.000 დოლარს სთავაზობდნენ“



გვ.3

## „ნაცმოძრაობას რევოლუცია არ გამოსდის“

სოსო შატბერაშვილი: „სააკაშვილის პროცესი ღია ეთერში უნდა გადაიცეს“

ISSN 1987-9385

5 აფხაზეთში კანონიერი ქურდის, თენგიზ ლაკერბაიას, მკვლელობა ცადეს

5 გლდანის ციხეში უკრაინელი პატიმარი გარდაცვლილი იპოვეს

6 თურქეთში ლირის გაუფასურებას აქციები მოჰყვა

5 ქეთევან ჩხაიძე: „ჩემი ქმარი ყოველდღე ძალადობდა ჩემზე... მის მკვლელობაში მონაწილეობა არ მიმიღია“

# „მიშამ ფსონი საკუთარი სიცოცხლით დადო, ბიძინამ მისი სიცოცხლით ითამაშა“

## გია ხუხაშვილი: „ოპოზიციამ ბრძოლა მოიგო, მაგრამ ეს პოლიტიკური ომის მოგებას არ ნიშნავს“

იაგო ნაცვლიშვილი



**რამდენად სწორია მამუკა ხაზარაძის იდეა ეროვნული კონსოლიდაციის თაობაზე და რამდენად თანმიმდევრულია, მაშინ როდესაც მან 1 თვის წინ უარი თქვა საპარლამენტო მანდატზე? რაში მდგომარეობს გამოსავალი შექმნილი პოლიტიკური ჩიხიდან და რატომ არ უჭერს დასავლეთი ოპოზიციას მხარს უფრო აქტიურად? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.**

***— მამუკა ხაზარაძე გამოდის ეროვნული კონსოლიდაციის იდეით. რამდენად თანმიმდევრულია „ლელო“ თავის მოქმედებებში? გაამართლებს და წავლენ ამ იდეაზე პოლიტიკური აქტორები?***

— შეთავაზება თეორიულად საინტერესოა. მე ვფიქრობ, სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტია ქვეყანაში და ეს მცდელობაა, რომ პოლიტიკური ელიტა დაუბრუნდეს სახელმწიფოებრივ დღის წესრიგს, არა ვიწროპოლიტიკურს, არამედ — სახელმწიფოებრივს, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ვითარება ისეთია, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ეს შეთავაზება ვინმემ სამოქმედო გეგმად ან საგზაო რუკად გამოიყენოს.

***— არც ხელისუფლებაში და არც ოპოზიციაში?***

— ძირითადად — ხელისუფლებაში. ხელისუფლება თვლის, რომ ის ფლობს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ყველაფერი კარგად იცის და ფაქტობრივად ვინც მასთან არ არის, ყველას მტერს ეძახის. მტრისგან, ბუნებრივია, არაფერს არ მიიღებ.

***— მამუკა ხაზარაძე თავად რამდენად არის თანმიმდევრული? იმიტომ, რომ ცოტა ხნის წინ მან თავად მიიღო საკმაოდ რადიკალური გადაწყვეტილება და უარი თქვა საპარლამენტო მანდატზე.***

— ეს თავისთავად არ არის რადიკალური გადაწყვეტილება. „ლელოს“ რომ დაეტოვებინა პარლამენტი, მაშინ მესმის, მაგრამ, მამუკა ხაზარაძე რომ გავიდა, ამით არ იცვლება პოლიტიკური კონიუნქტურა. ეს არის მისი პირადი გადაწყვეტილება. ეს არის პოლიტიკური მენეჯმენტის გადაწყვეტილება და არა რაღაცა დემარში. ასე რომ, მის ქმედებებში დიდ წინააღმდეგობებს ვერ ვხედავ.

***— თანმიმდევრულობაა, როდესაც ჯერ უარს ამბობს პარლამენტის წევრობაზე, როდესაც შეეძლო რაღაცების გაკეთება პარლამენტიდან ამ კონტექსტში, შემდეგ კი ის გამოდის ეროვნული კონსოლიდაციის იდეით?***

— ის არის პოლიტიკური პარტიის ლიდერი და პარტია რჩება პარლამენტში. თავად გავა თუ შემოვა, ამით რა იცვლება პოლიტიკურად?!

***— თუმცა მნიშვნელოვანია, ხაზარაძის ხმა პარლამენტიდანაც ისმოდეს.***

— მისი პარტიის ხმა ხომ არის პარლამენტში და რა მნიშვნელობა აქვს?

***— ერთი ხმით ნაკლები იქნება.***

— რატომ იქნება ერთი ხმით ნაკლები?!

***— „ლელოს“ ჩამკეტი მექანიზმი აქვს ამოქმედებული და სხვა ველარ შევა მის მონაცვლედ.***

— კი ბატონო, ერთი ხმით ნაკლები იქნება.

***— თქვით, რომ ხელისუფლება არ დაეთანხმება ხაზარაძის იდეას, მაშინ, რაში ხედავთ გამოსავალს?***

— ძალიან რთულ კითხვას მისვამთ. გამოსავალი თეორიულად არის ის, რომ პოლიტიკური ელიტა ფიქრობდეს სახელმწიფო და არა ვიწროპოლიტიკურ ინტერესზე. სახელმწიფო ინტერესს უნდა წყვეტდეს პოლიტიკური ელიტა და მეტი არაფერი.

***— ხელისუფლება რასაც აკეთებს, უკვე გასაგებია, მაგრამ ოპოზიციის მოქმედებები სწორია, რომ რაღაცნაირად იპოვონ გამოსავალი ამ ვითარებიდან?***

— რა თქმა უნდა, ოპოზიციას თავისი უბედურება სჭირს. მე ვერ ვხედავ გამოსავალს. თეორიული გამოსავალი არსებობს, მაგრამ მოცემულობა ისეთია, რომ გამოსავალზე საუბარი რთულია.

***— ამ პროცესისგან რას ელოდებით?***

— არაფერს არ ველოდები. არ არის პროგნოზირებადი სიტუაცია, ძალიან ბევრი სუბიექტური ფაქტორი მუშაობს.

***— მიშასა და ბიძინას ფაქტორი ისევ მუშაობს?***

— როგორ არ მუშაობს. დილა იწყება და ღამდება მიშათი. აბა, ვისი ფაქტორი მუშაობს.

***— თუმცა ნაწილობრივ ეს ვითარება შექმნა ხელისუფლებების მოქმედებებმაც, რადგან ერთია მისი პოლიტიკის მიმართ მხარდაჭერა და მეორეა, როცა უკვე მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ექმნება საფრთხე.***

— დიდი ბოდიში. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხე აქ არაფერ შუაში არ არის. ეს შუაშია იმდენად, რომ ერთი ჩამოვიდა პოლიტიკურ პროცესში თავის სიცოცხლეს ფსონად და მეორემ ითამაშა მისი სიცოცხლით. აქ ჰუმანიტარული თემა საერთოდ არ არსებობდა, ეს იყო წმინდა პოლიტიკური თემა და ეს არის უბედურება, რომ ორივე მხრიდან ადამიანის სიცოცხლით თამაში მიმდინარეობდა.

***— კი ბატონო, მაგრამ მეც, რომელიც არასდროს ვუჭერდი სააკაშვილს მხარს, ამ სიტუაციაში ვითხოვდი მის კლინიკაში გადაყვანას და ასეთი საკმაოდ ბევრი ადამიანია.***

— კი ბატონო და შეიძლება ჩავთვალოთ კიდეც, რომ ამ დიდ ომში ეს ბრძოლა ოპოზიციამ მოიგო და ხელისუფლებამ ვერ გადაწყვიტა ვერც ერთი თავისი ამოცანა. ერთი იყო მიშას დამცირება, მეორე — ოპოზიციის პროვოცირება, წამოეგებოდა მორიგ შეთქმულების თეორიას, ვიღაცა დაეჭერათ და ა.შ. ვერ წამოიკიდა ვერც ოპოზიცია და მიშაც ვერ დაამცირა მორალურად. კი ბატონო, ეს იყო ბრძოლის მოგება, მაგრამ ეს არ ნიშნავს პოლიტიკური ომის მოგებას.

რა მოხდება ხვალ და ზეგ, რთულად პროგნოზირებადია, იმიტომ, რომ ეს მოქმედებები პოლიტიკურ ლოგიკასა და კანონზომიერებას არ ექვემდებარება.

***— ამ სიტუაციაში დასავლეთის როლი გადამწყვეტი იქნება?***

— დასავლეთიც დაიღალა. ერთხელ ჩაერია სერიოზულად, რაღაც შეთანხმებაც მოხდა, მაგრამ ბოდიში და თავზე გადააახიეს დასავლეთს. არ უნდათ ამდენი თავისტკივილი.

***— ოპოზიციას რატომ არ უჭერს დასავლეთი მხარს უფრო აქტიურად, როცა ხედავს, რომ „ოცნება“ დემოკრატიული ჩარჩოებიდან გავიდა?***

— რატომ უნდა დაუჭიროს? იმას თავისი პრობლემები აქვს. შეიძლება, უნდათ კიდეც, რომ რაღაცა შეიცვალოს, მაგრამ უყურებენ პროცესს და ვერ ხედავენ რეალურ საშუალებას იმისათვის, რომ სწრაფი ცვლილებები განხორციელდეს. ისინიც მიჰყვებიან პროცესს, მეტი არაფერი. გგონიათ, დასავლეთში დილიდან საღამომდე საქართველოზე ფიქრობენ?! ჩვენ მათთვის მეასეხარისხოვანი საქმე ვართ.

***— ამავე კონტექსტში კობახიძეზეც უნდა გკითხოთ. ის ჯერ აგინებდა დასავლეთს და შემდეგ წავიდა დელეგაცია მისი ხელმძღვანელობით. ეს რას ნიშნავს?***

— ასე სჭირდებოდათ წინასაარჩევნოდ. ახლა რაღაცებს შეცვლიან, შეეცდებიან, დასავლეთს თავი მოუქონონ. მანევრირებენ.

***— ლობისტებთანაც ხომ არ ექნებათ არაფორმალური შეხვედრები, რომ რაღაცნაირად დაალაგონ ურთიერთობა დასავლეთთან?***

— არ ვიცი. მე რა გითხრათ, ვისთან ექნებათ შეხვედრები. ისინი ჩავიდნენ იმისთვის, რომ თავიანთი არგუმენტები შესთავაზონ დასავლეთს, თუ რატომ იქცევიან ასე.

***— ბოლოს ნახევრად ხუმრობით პრემიერის განცხადებებთან დაკავშირებით გკითხავთ: აღმოსავლეთ ლუქსემბურგში ცხოვრება უკვე იგრძენით თუ ჯერ შრომას ეჩვევით?***

— არა, ძირითადად ვკოტრიალობ.

## მიხეილ სარჯველაძე: „პრემიერ-მინისტრის ინიციატივები მხარდაჭერას ნამდვილად იმსახურებს“



ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე საინფორმაციო სააგენტო Pia.ge-სთან მთავრობის მეთაურის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ 22 ნოემბრის მთავრობის სხდომაზე გაჟღერებულ ინიციატივებს აფასებს და აცხადებს, რომ სამივე ინიციატივაზე პრემიერ-მინისტრს ეთანხმება.

მისი თქმით, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივები, რომლებიც ეხება აზარტულ თამაშებს, სოციალურად დაუცველი ადამიანების დასაქმებასა და ფსიქოტროპული მედიკამენტების გაყიდვების გამკაცრებას, დადებით შეფასებას იმსახურებს.

„მთავრობის მეთაურის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გაჟღერებული ინიციატივები, მისასალმებელია. სამივე ინიციატივაზე პრემიერ-მინისტრს ვეთანხმებით. ითქვა კიდეც გუშინ, რომ ინიციატივები მხარდაჭერას ნამდვილად იმსახურებს და იდეები სწორად უნდა იყოს განხორციელებული. ამ იდეების კონკრეტული რეალიზების პროექტები, რა თქმა უნდა, მალე შეიქმნება“, — განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ვოლსკიმ განაცხადა:

„საზოგადოებაში მოარული აზრია, რომ სოციალური დახმარების მიმღები 600 ათასი ადამიანიდან, 300 ათასი შრომისუნარიანი ადამიანი არ ცდილობს, რომ სამუშაო იქონიოს იმის გამო, რომ სოციალური დახმარება არ დაკარგოს. ეს მნიშვნელოვანწილად მცდარი აზრია. ადამიანთა დიდი რაოდენობა მართალია შრომისუნარიანია, მაგრამ შრომის ბაზარზე ვერ პოულობს ადგილს, აქედან გამომდინარე ორი სახის გარანტია უნდა ჰქონდეთ მათ: ერთი რომ, თუკი დაიწყებენ მუშაობას, ეს სოციალური დახმარების მოხსნის წინაპირობა არ გახდება. გარკვეული პერიოდი სოციალური დახმარება მათ უნდა მიყვებოდეს, სანამ ზურგს გაიმაგრებენ, იმავე დახმარებას მიიღებენ თავისი შრომით და პერსპექტივა გაუჩნდებათ მომავალი ცხოვრებაში, რომ იმ რესურსით, რომელსაც გასცემენ შეეძლებათ უკეთ შეინახონ ოჯახი, თავიანთი თავი და ა.შ. მეორე ასპექტი არის ის, რომ სახელმწიფოს მხრიდან უნდა ხდებოდეს შეთავაზების ორგანიზება. სახელმწიფომ ადამიანს უნდა შესთავაზოს სამუშაო ადგილი და ეს უნდა იყოს შესაბამისობაში იმ ადამიანის მონაცემებთან. რასაკვირველია, ეს საკითხი არის საგანგებო მნიშვნელობის და ვიცე-პრემიერი ლევან დავითაშვილი თავისი ცოდნითა და გამოცდილებით კარგად წაუძღვება ამ საქმეს.

არის კიდევ ერთი ასპექტი, რაც უნდა გავითვალისწინოთ: არიან ადამიანები, რომლებიც შეთავაზებულ სამსახურს ვერ მიიღებენ იმის გამო, რომ არ გააჩნიათ არანაირი კვალიფიკაცია. აქედან გამომდინარე, იმაზე უკეთესი სისტემა არის ასაწყობი, ვიდრე არსებობს, რათა კვალიფიკაცია შესძინოს იმ ადამიანს, ვისაც სამსახურს შესთავაზებს. ვფიქრობ, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ადამიანს, რომ იპოვოს თავისი სამუშაო ადგილი და იყოს წყნარად, რადგან მას არ წაართმევენ სოციალურ დახმარებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. იგი თავისი ღირსებით, შრომით მიიღებს შემოსავალს, ქვეყანასაც გამოადგება და თავის ოჯახსაც“.

სათამაშო ბიზნესის შეზღუდვის ინიციატივაზე საუბრისას პარლამენტის ვიცესპიკერმა აღნიშნა, რომ ეს პრობლემა გლობალურია და საქართველოს მოსახლეობასაც აზარალებს, ამიტომ მისი გადაჭრა მნიშვნელოვანია.

„რაც შეეხება სათამაშო ბიზნესს, იგი პრობლემად იქცა მთელი მსოფლიოსათვის, მით უმეტეს პანდემიის პირობებში ამან ძალიან დიდი მასშტაბი მიიღო ისე, რომ საქართველოდან 1.5 მილიარდი ლარი გადის ყოველწლიურად ონლაინკაზინოების ორგანიზატორების ანგარიშებზე. ფინანსური ასპექტი რასაკვირველია მნიშვნელოვანია, თუმცა ამაზე უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ჩართულობა და მიჯაჭვულობა თამაშებზე, რამაც არაერთი ოჯახი ჩააგდო უმძიმეს მდგომარეობაში. ასე რომ, ამ პრობლემის გადაჭრას ძალიან ბევრი სხვა ასპექტი უნდა მიყვებოდეს, მაგალითად ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, რადგან ახალგაზრდებმა თავისი თავი სხვა გამოწვევებში იპოვონ, ისეთში როგორიც მათ ცხოვრებას უკეთესს გახდის.

სათამაშო ბიზნესის შეზღუდვას პარტია „გირჩი“ არ ეთანხმება. ფიქრობენ, რომ ადამიანთა გადასაწყვეტია, თუ სად ითამაშებენ, თუმცა ამ ისედაც ურთულეს სიტუაციაში ზიანდება ეროვნული და კონკრეტული ოჯახების ინტერესები. ალბათ კამათი მოგვიწევს და ვფიქრობ, ამ კამათში საზოგადოების უმრავლესობის პოზიცია იქნება ისეთი, როგორიც პრემიერ-მინისტრმა შემოგვთავაზა“, — აღნიშნა გიორგი ვოლსკიმ.

## ედუარდ სააკაშვილი: „მიშას ურჩევნია, თბილისში ციხეში იჯდეს. მას უნდა, რომ ისტორიული ფიგურა იყოს“

„რადიო თავისუფლებამ“ ვრცელი ინტერვიუ ჩაწერა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვაჟ ედუარდ სააკაშვილთან, რომელიც ამჟამად ნიდერლანდების ქალაქ უტრეხტში ცხოვრობს და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობს.

ის ხელოვნურ ინტელექტს იკვლევს.

„ეს გადაცემა ედუარდზეა და არა მიშაზე“, — ამბობს სიუჟეტის ავტორი გოგი გვახარია. გთავაზობთ ფრაგმენტებს ინტერვიუდან, რომლის ჩაწერისას მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ შიმშილობდა.

**ედუარდ სააკაშვილი:**

— აქამდე ბერლინში ვიყავი, იქ ვმუშაობდი და ბერლინი გიგანტური ქალაქია. ეს ქალაქი მყუდროა, პატარა... მშობლიური გრძნობები მაქვს ბავშვობის გამო, ენა ვიცი კარგად. მე და ნიკუშა ერთმანეთში ახლაც ჰოლანდიურად ვლაპარაკობთ. საერთოდ, როდესაც ოჯახის ერთი წევრი სხვა ენის წარმომადგენელია, როგორც წესი, პირველი შვილი კარგად სწავლობს ხოლმე ამ ენას და მეორე — ნაკლებად. ნიკუშა რომ გაჩნდა, მე 10 წლის ვიყავი და ვიცოდი უკვე ამ ფენომენის შესახებ. მე ვიცი მხოლოდ სანდრას ჰოლანდიური, ერთმანეთშიც ჰოლანდიურად ვლაპარაკობთ. მიშამ ცუდად იცის ენა. ერთხელ სუფრაზე ვიყავით და მკითხეს, ქართველი ხარ თუ ჰოლანდიელიო. ვუთხარი, ქართველი-მეთქი, რაც სანდრას ძალიან გაუკვირდა...

იქ უფრო ჩემია, ჰოლანდიის პოლიტიკაში რა ხდება, წარმოდგენა არ მაქვს... ნაკლებად შემტკივა გული.

მიშა რომ 2013-ში ამერიკაში წავიდა, ვერ გაძლო. მე ძალიან გამიხარდებოდა, რომ მაგ გზით წასულიყო და იქ ყოფილიყო, მაგრამ არ არის ეს მისი სტილი.

ედუარდი ამბობს, რომ სკოლის მეგობრებთან აგრძელებს მეგობრობას და საქართველოში ჩასვლისას მათ ხშირად ნახულობს. ის იხსენებს რამდენიმე ისტორიასაც.

— შეიძლება, არ უნდა ვთქვა, მაგრამ საბავშვო ბაღში ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო ვანო ჩხარტიშვილის შვილი. მიშას ეს არ სიამოვნებდა, სანდრას — პირიქით. არ მგონია სწორი, რომ ამ დონეზე დაიყვანო პოლიტიკა. როდესაც მიშა პოლიტიკაშია, ეს არის მისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი და რთულია მისთვის ამის გაგება...

ერთხელ მეშვიდე კლასში ვიყავი, დროშა ეკიდა ხუთჯვრიანი და ერთმა კლასელმა ჩამოხია, ეს ნაცების დროშააო. კამათში არ შევსულვარ, შეიძლება, ვიღაცას ასე ეგონოს...

პოლიტიკაში მოსვლის სურვილი არ მქონია. ახლა ყველაზე ნაკლებად მაქვს. ბევრი უარყოფითია, თუნდაც პიროვნული ასპექტი. ამას თუ ოდესმე გავაკეთებ, ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა იქნება. ეს სანდრას მაგალითიდანაც ჩანს. მე ძალიან წინააღმდეგი ვიყავი მისი პოლიტიკაში ჩართვის, ვურჩევდი, არ გადაედგა ეს ნაბიჯი, — ყვება ედუარდ სააკაშვილი.

მისი თქმით, მას და ნიკუშას ბაბუების სახელები დაარქვეს.

— არაფერ შუაში არ იყო ედუარდ შევარდნაძე, მაგრამ ალბათ გაუხარდა. პატარა რომ ვიყავი, ხომ მითხრა, პრეზიდენტი იქნებიო, — ამბობს ექსპრეზიდენტის ვაჟი და აგრძელებს:

— ახლა ვფიქრობ, როგორც შვილი, რა კარგი იქნებოდა, საქართველოში არ ჩასულიყო და ისევ უკრაინაში იყოს, შემეძლოს, ვესტუმრო. დავფიქრდი და მივხვდი, რომ მას ურჩევნია, იქ იჯდეს ციხეში, ვიდრე კიდევ დარჩენილიყო კიევში. მას უნდა, იყოს ისტორიული ფიგურა, თავგანწირვა — ეს მისთვის ძალიან რეალურია. მაღიზიანებს, რომ ამბობდნენ, არა, რა შიმშილობდა, ერთ კვირაში შეწყვეტსო. ამ დროს ბოლომდე დარჩება თავისი დათქმის ერთგული. ურჩევნია, გარისკოს. ეს ჩემთვის საშინელებაა. მესმის, რომ მას უნდა ეს, რაღაც დონეზე პატივი უნდა ვცე მის არჩევანს. ეს მისი გზაა და ისიც მართალია, რომ პატიმარს აქვს ამის უფლება.

მთელი ამ წლების განმავლობაში, როდესაც ნაციონალური მოძრაობა იყო ხელისუფლებაში, ბევრი რაღაც დაგროვდა, ლეგიტიმურად. მიშასთან ამაზე მისაუბრია. ახლა რა ხდება, ამ ყველაფერს იყენებენ იმისთვის, რომ განახორციელონ პოლიტიკური ანგარიშსწორება. ამ დროს ინტერესი მიქრება და ველარ ვფიქრობ ობიექტურად, — ამბობს ედუარდ სააკაშვილი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგიაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საინფორმაციო სამსახური – კლარა ბალაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დიზაინერი – ზურაბ მერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ორთვიან მარათონში მაინც „ოცნებამ“ გაიმარჯვა“

## თორნიკე შარაშენიძე: „ნაციონალები ხომ უნდა გამოვიდნენ ოდესღაც 2003 წლიდან?!“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***— ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? „ქართული ოცნების“ ლიდერები უკვე საუბრობენ იმაზე, რომ უნდა დასრულდეს პოლარიზაცია და სიმშვიდისა და შეთანხმებისკენ წავიდეთ. ოპოზიციის ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ალბათ სააკაშვილს იქ გაუშვებენ, სადაც არჩევნებამდე იყო. რას გულისხმობდა ირაკლი კობახიძე ევროპარლამენტში შეხვედრისას გაკეთებულ განცხადებებში? არის იმის შანსი, რომ სააკაშვილი ქვეყნიდან გაიყვანონ?***

— სააკაშვილის ქვეყნიდან გაყვანა ალბათ საუკეთესო გამოსავალი იქნება, მაგრამ, მოდით, ისიც ვთქვათ, ერთია, რას ამბობს კობახიძე სტრასბურში და მეორეა, რას იტყვის მერე თბილისში. ზოგადად, ორი კობახიძე არსებობს, ერთი — სტრასბური, მეორე — თბილისი. ზოგადად, ორსახოვანია კობახიძე. მე არ ვიცი, რა ნაბიჯებს გადადგამს ხელისუფლება პოლარიზაციის დასრულებისთვის, მაგრამ სააკაშვილის გაშვება უკრაინაში, წესით, ყველას უნდა აწყობდეს.

***— სერიოზულ თავისტკივილს მოიშორებს ამით „ოცნება“?***

— კი, ეს არის ხათაბალა, თუმცა, არა მგონია, ასე მარტივად დასრულდეს ეს ამბავი. ისინი მაინც ელოდებიან, სააკაშვილი გატყდეს ციხეში. ჩვენ ვნახეთ, რომ რეალურად ნაციონალურმა მოძრაობამ დათმო. მართალია, სააკაშვილის გორში გადასვლა დიდ გამარჯვებად გამოაცხადეს, მაგრამ გორში გადასვლას მათ ჯერ კიდევ ოქტომბერში სთავაზობდნენ, თუმცა გამოხტა გვარამია და მიშას ოსები გაიტაცებენო. ახლა კი გორში გადაყვანა გამარჯვებად გამოაცხადეს, მთავარსარდალი მიბრძანდება მის მიერ აშენებულ ჰოსპიტალში. შესაბამისად, ფაქტია, ამ ორთვიან მარათონში მაინც „ოცნებამ“ გაიმარჯვა. კარგია, რომ ამით ორივე მხარე კმაყოფილია. ჩვენც შეგვეძლება მშვიდი ცხოვრება.

***— ნაცმოძრაობა აცხადებს, პროტესტს გავაგრძელებთო. სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ და ეს რამდენად არის შესაძლებელი?***

— ეს ხომ საერთოდ კომედიაა. მიშას არავინ გამოუშვებს. წინ ზამთარია, აქციებიც ვერ ექნებათ ხშირი და ხალხმრავალი. რამდენჯერ უნდა გამოიყვანონ ხალხი. ეს ადამიანებიც დაიღალნენ, გამოვედით-დავიშალეთ, გამოვედით-დავიშალეთ. ეს ხალხი უკვე იმედგაცრუებულია ამდენი დაშლით. იტყვიან, შევიკრიბეთ 50 ათასი კაციო. ამით რა მოხდა? ორი საათი უსმინეს გამომსვლელებს და დაიშალნენ. რა მერე? არც არაფერი. აქციის ორგანიზება და რეგიონებიდან ჩამოყვანა დიდი ფული ჯდება.

***— ოჯახი და სააკაშვილის პირადი ექიმი სასჯელის გადავადებას ითხოვენ მის გამოჯანმრთელებამდე. ეს რამდენად იქნება შესაძლებელი?***

— ეს საერთოდ სისულელეა! იურიდიულად როგორ უნდა დაასაბუთო? ათას პატიმარს უშიმშილია ასე და ახლა რა გამოდის, მხოლოდ სააკაშვილი იმსახურებს ყველანაირ შეღავათს?! არ წავა ამაზე მთავრობა, რა თქმა უნდა.

***— ოპოზიცია ასევე საუბრობდა სტრასბურიდან მოსამართლეების ჩამოყვანაზე, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს ჩვენი კანონმდებლობით შეუძლებელია.***

— ეს საკითხი თავიდანვე გაუგებარი იყო ჩემთვის. სტრასბურის მესამე მხარედ ჩართვა, ასეთი რამ არ მომხდარა არასოდეს და ახლა რატომ მოხდება?! ეს მცდელობები, გრანდიოზული გეგმების დაანონსება და საერთოდ ამის თუ კიდევ სჯერა ოპოზიციის მხარდამჭერებიდან ვინმეს, არ ვიცი. თანავუგრძნობ, მართალი გითხრათ.

***— ყველაზე უკეთეს სიტუაციაში რაზეა „ოცნება“ წამსვლელი?***

— ყველაზე უკეთესი იქნება, გაუშვან უკრაინაში, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც შეეცდებიან, გატეხონ. მკურნალობის მერე გაუშვან ისევ რუსთავში და, რომ დაინახავს მიშა, არ გამოვიდა ის, რის იმედიც ჰქონდა, დიდი გამოსვლები ქვეყნის შიგნით და დასავლეთიდან მხარდაჭერა, როგორც ჩანს, ელოდებიან, რომ მენტალურად გატყდება.

***— სააკაშვილი აქ ციხეში ჩასაჯდომად არ ჩამოსულაო. რა გეგმა აქვს ნაცმოძრაობას? ფაქტია, რევოლუცია აღარ გამოვა.***

— ჩემთვის გაუგებარია, საერთოდ რას ელოდებოდნენ. ხომ უნდა გამოვიდნენ ოდესღაც 2003 წლიდან. ხომ არ შეიძლება, იქ ჩარჩნენ სამუდამოდ! ცხოვრება გრძელდება, შეიცვალა ვითარება. დროა, რეალობას თვალი გაუსწორონ.

***— აცხადებთ, რომ ამ პროცესებიდან ხელისუფლება დარჩა მოგებული. ამ ამბებს ხომ არ გადააყოლებენ ნიკა მელიას. ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ მის გაშვებას აპირებენ.***

— თუ გაუშვებენ ამ ეტაპზე, ეს არ იქნება კარგად აღქმული ნაცმოძრაობის მხარდამჭერების მიერ. კიდევ ამდენი შიდადაპირისპირება და მეორე თავმჯდომარის წასვლა არ იქნება მაინცდამაინც კარგად აღქმული. წესით, არ უნდა აწყობდეთ შიდადაპირისპირების გარეთ გამოფენა.

***— ბევრი აღარ მალავს მელიასადმი უკმაყოფილებას.***

— ჩემთვის გაუგებარია, რას ელიან მელიასგან. მიტინგი რომ შეიკრიბება, მელია ამ ხალხს უნდა გაუძღვეს და შევარდეს პარლამენტში თუ რა უნდათ მისგან. ამას რა მოჰყვება? მოჰყვება ის, რომ მელიას დაიჭერენ და კარგა ხანს აღარ გამოუშვებენ. მართალი გითხრათ, არ მესმის, რას ითხოვენ ამ კაცისგან. ოპოზიციის ნაწილი პარლამენტში დაბრუნდა და ამით ყველაფერი ნათქვამია. ოპოზიციური ერთობა ისევ გატყდა. ყველას თავისი პოლიტიკური დღის წესრიგი აქვს. მათ უმრავლესობას, დიდი ეჭვი მაქვს, სულაც არ უნდა სააკაშვილის დაბრუნება და მისი გამარჯვება. ისინი ფიქრობენ, სააკაშვილი თუ გაიმარჯვებს, წალეკავს ყველას და ყველაფერს. აშკარაა, ოპოზიციაში არ არის ერთიანი განწყობა. ამას „ოცნებაში“ მშვენივრად ხედავენ და ამით გადასარევად სარგებლობენ. აი, ეს არის ოპოზიციის ორი სერიოზული პრობლემა. პირველი — დაქსაქსულობა შიგნით, რომელიც არაერთხელ გამოჩნდა და მეორე ის, რომ ამომრჩევლის ძალიან დიდი ნაწილი რჩება სახლში. სანამ ეს მოცემულობაა, ოპოზიციას „ოცნების“ არჩევნებში დამარცხების ძალიან მცირე შანსი აქვს.



**„ყველაზე უკეთესი იქნება, გაუშვან უკრაინაში, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც შეეცდებიან, გატეხონ, მკურნალობის მერე გაუშვან ისევ რუსთავში და, რომ დაინახავს მიშა, არ გამოვიდა ის, რის იმედიც ჰქონდა, დიდი გამოსვლები ქვეყნის შიგნით და დასავლეთიდან მხარდაჭერა, როგორც ჩანს, ელოდებიან, რომ მენტალურად გატყდება“**

***— მაშინ ვადამდელს რა აზრი აქვს?***

— ამ სიტუაციაში ვადამდელსაც არანაირი აზრი არა აქვს. თუ იგივე მოხდა და დიდი ნაწილი დარჩა სახლში, „ოცნება“ გადასარევად გამოიყენებს ადმინისტრაციულ რესურსს, სხვა უარეს ხრიკებს და ვადამდელსაც მოიგებს. მე გეტყვით, ნაცმოძრაობას რა ეშლება. მას აქვს ორი პრობლემა: ერთი, რომ არასდროს აღიარებენ საკუთარ შეცდომებს და ეს ნეიტრალურ ამომრჩეველს უმძაფრებს შიშს, ესენი რომ დაბრუნდნენ, იმავე შეცდომებს გაიმეორებენ და მეორე, ხდება ნეიტრალური ამომრჩევლის მუდმივი დაბულინგება, მათ ფაშისტებსა და მოღალატეებს უწოდებენ. მე რომ შუაშისტი ვარ და ასეთ ტექსტებს ვისმენ, ბუნებრივია, შემეშინდება მათი მობრუნების. ამით „ოცნება“ მშვენივრად სარგებლობს, მოსწონს ეს რიტორიკა და შუაშისტების არსებობაც აწყობს. წესით, ნეიტრალური ამომრჩევლის მომხრობაზე უნდა მუშაობდნენ და არა მათ დაბულინგებაზე. ეს რატომ არ ესმით?! საერთოდ არა აქვთ გააზრებული. ეს ხალხი კი ფიქრობს, ჯერ არ მოსულან, როგორ გვლანძღავენ და, რომ მობრუნდებიან, რას იზამენო. ამიტომ ორ ცუდს შორის ისევ იმას ირჩევენ, ვინც არ ეჩხუბება და არ ლანძღავს.

***— ამ ფონზე რა ხდება ხელისუფლების შიგნით, მართლაც იგეგმება ღარიბაშვილის გაშვება?***

— კი, შესაძლებელია, მაგრამ რას შეცვლის ეს?! ღარიბაშვილზე შედარებით სიმპათიური ფიგურა თუ მოვიდა, ის ხომ უფრო გაამყარებს „ოცნებას“. მათ ისევ უჩნდებათ შანსი, რომ ის ნეგატივი, რომელიც „ოცნებამ“ ამ პერიოდში აიკიდა, ისევ ღარიბაშვილს აჰკიდონ და გაუშვან. განტევების ვაცივით აჰკიდონ ყველა უბედურება მას, გაუშვან და დანიშნონ კუჭავა. გადასარევია, ცხოვრება გრძელდება მშვენივრად ვისთვის? რა თქმა უნდა, ბიძინასთვის! ოპოზიციაში რომ ჟივილ-ხივილია ატეხილი, ღარიბაშვილს უშვებენო, მათ რა უხარიათ, მათთვის იცვლება რამე უკეთესობისკენ?! ნამდვილად არ მესმის, რატომ უხარიათ. ჯერ კიდევ ორი კვირის წინ დაბეჯითებით აცხადებდნენ, ბიძინა ამერიკაში გაიქცა, რადგან მან არ შეასრულა რუსეთის დავალებაო. მერე გაირკვა, რომ ივანიშვილი საქართველოშია. ამდენი ცრუ მოლოდინითა და სისულელის გავრცელებით რეალურად ხომ ისევ „ოცნება“ იგებს. რატომღაც ეს არ ესმით. ტყუილებითა და სისულელეებით ბრძოლა არ შეიძლება.

***— ანუ „ოცნებას“ აწყობს ღარიბაშვილის გაშვება?***

— რატომაც არა! პირველად უშვებენ? თუ საჭირო იქნება, მესამედაც დანიშნავენ და ბედნიერი იქნება მესამედ დანიშვნით, უარს არ ეტყვის ბიძინას. რა პრობლემაა. სიამოვნებით ჩაჯდება ეს კაცი რეზერვში და, როცა უნდა, მაშინ დააბრუნებს ბატონი ბიძინა.

# „ნაცმოძრაობას რევოლუცია არ გამოსდის“

## სოსო შატბერაშვილი: „სააკაშვილის პროცესი ღია ეთერში უნდა გადაიცეს“

მარიამ მჭედლიშვილი

**რატომ მიაჩნია, რომ მიხეილ სააკაშვილის ჰოსპიტალიზაცია საჭირო არ იყო? რა სიტუაცია შეიქმნა ქვეყანაში? რატომ ვერ გამოვა საქართველოში კიდევ ერთი რევოლუცია? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.**

***— სააკაშვილის გორის ჰოსპიტალში გადაყვანას არასწორ ნაბიჯად მიიჩნევთ. რატომ? მისი იქ ყოფნით რაიმე საფრთხე შეიქმნა?***

— მიმაჩნია, რომ სააკაშვილს არც სამოქალაქო კლინიკაში და არც ჰოსპიტალში გადასაყვანი არაფერი სჭირდა. სხვა კლინიკაში გადაყვანა იყო პირადად სააკაშვილის ახირება, რასაც ბანი მისცეს ნაცმოძრაობის აქტივისტებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა და ჯგუფებმა. ამაზე ნაკლებს საუბრობენ, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილი არ შიმშილობდა. იუსტიციის მინისტრი აკეთებდა ამაზე განცხადებებს. ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო და გამოქვეყნდა კიდეც კადრები, სადაც მკაფიოდ ჩანს, რომ ყოფილი პრეზიდენტი იკვებება. ამას კვებით დანამატებს უწოდებენ. 200-კილოგრამიანი დათვი რომ თაფლით გამოიკვებება, მთელი ზამთარი იძინებს. სააკაშვილი, თაფლის გარდა, ნოყიერ ღვიძლის პაშტეტსაც გეახლებოდათ, სხვა პროდუქტებსაც. 50 დღის ნაშიმშილარი ადამიანი ჯანზე ვერ იქნება. სააკაშვილი შიმშილობის პროცესში ენერგიულად გრძნობდა თავს და პენიტენციარული დაწესებულების თანამშრომლებსაც დაერია. თუ გახსოვთ, სააკაშვილი და მისი მომხრეები ჰოსპიტალში გადაყვანის სურვილს არ ამჟღავნებდნენ. იცით, რატომ?

***— რატომ?***

— ჰოსპიტალი სამხედრო ობიექტია, ანუ დაცულია. მათ უნდოდათ, რომელიმე ჩვეულებრივ სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში გადაეყვანათ. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ მას გადასაყვანი არაფერი სჭირდა. თუ შიმშილობის ამბავი მოგვატყუეს, რატომ უნდა დავიჯეროთ, რომ კვდებოდა?! სააკაშვილის ავადმყოფობა და სიკვდილი არ მინდა. ის არც ყოფილა ავად. კლინიკაში ან სხვაგან გადაყვანა არის საბაბი სახელმწიფო გადატრიალებისათვის.



***— ფიქრობთ, რომ ის სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს?***

— ამაში დარწმუნებული ვარ. საქმე ის არის, რომ სახელმწიფო გადატრიალება, რევოლუცია ნაცმოძრაობას არ გამოსდის.

***— ამას რით ასაბუთებთ?***

— ხალხს ვერ კრებენ. 23 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ მეთვრამეტე წლისთავზე, დედაქალაქის ცენტრში გააკეთეს ცოცხალი ჯაჭვი. ზუსტად იმ დროს ქაშუეთის ეკლესიაში გახლდით. ჯაჭვსაც დავაკვირდი. სულ რაღაც 2.000 კაცი იყო გამოსული. ჩემი თვალით ვნახე მიკროავტობუსები. სამარშრუტო ტაქსებით ჩამოჰყავთ ხოლმე ხალხი აქციებისთვის. თუ შორეული ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოჰყავთ ადამიანები, ეს 200 ლარამდე ჯდება (ერთ ადამიანზე იხარჯება 200 ლარი), თუ შედარებით ახლო ადგილებიდან, მაშინ — 80-დან 100 ლარამდე. ჯაჭვიც კი ვერ გააკეთეს ადგილობრივი ძალებით. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობას არ უნდა რევოლუცია. ხალხს სიტყვა „რევოლუციის“ გაგონება აღარ სურს. ამგვარი რამ გადავიტანეთ 90-იან წლებში, ასევე — 2003 წელს. ვნახეთ სამოქალაქო დაპირისპირება, ტერიტორიების დაკარგვა და სხვა.

***— ამბობთ, რომ ნაცმოძრაობას ხალხი ვერ გამოჰყავს. 14 ოქტომბრის აქცია ხომ იყო ხალხმრავალი?***

— ეს შედარებით დიდი აქცია იყო. აქციებზე ჩვენ ხალხის რაოდენობის დათვლის მეთოდები ვიცით. ამ დღეს იყო 20.000 ადამიანამდე, უფრო ზუსტად — 18.000-დან 20.000-მდე. ამაზე დაიხარჯა უზარმაზარი ფული — ნახევარ მილიონ ლარზე მეტი. ყველა აქციაზე ამდენს ვერ დახარჯავენ. ისე, ნაცმოძრაობა ისევ დიდი თანხების მფლობელია. ამ სახსრებს ის ხარჯავს პიარზე, ასევე — ლობისტებზე. ოთხმა ამერიკელმა სენატორმა უკვე მოიწერა, რომ იწონებს სააკაშვილის ჰოსპიტალში გადაყვანას.

***— ეს სენატორები არ გამოხატავენ პოლიტიკურ მხარდაჭერას სააკაშვილის მიმართ. ისინი მხოლოდ ჯანდაცვის საკითხსა და უფლებებზე საუბრობენ.***

— იმას ვამბობ, რომ მათ მოიწონეს სააკაშვილის გადაყვანა. მთლიანობაში, აშშ-ს სააკაშვილისთვის არ სცალია — საშინაო და საგარეო საკითხი ბევრი დაუგროვდა. ამერიკული პრესიდან ვიცი, რომ პრეზიდენტ ბაიდენის წინააღმდეგ რესპუბლიკელები ამზადებენ იმპიჩმენტის პროცედურას. ვაშინგტონის დღის წესრიგში დგას ჯარის გამოყვანა-არგამოყვანის თემა აზიის სხვადასხვა ადგილას. სააკაშვილს ახლა მხარდაჭერა არა აქვს. 2003 წლისგან განსხვავებით, მას საგარეო თანადგომა აკლია. 2003 წელს ხალხიც სხვანაირად იყო განწყობილი. იყო დიდი სიძულვილი შევარდნაძის მთავრობისადმი. მაშინდელი ახალგაზრდა სამეული — სააკაშვილი, ჟვანია, ბურჯანაძე — საზოგადოებას ბევრს დაჰპირდა: ძირეულ რეფორმებს, კორუფციასთან ბრძოლას, ხალხზე ზრუნვას. სააკაშვილი ამბობდა, რომ შვეიცარიის ბანკებთან მიაღწია შეთანხმებას. სააკაშვილი იმ დროს საკრებულოს თავმჯდომარე იყო, მე — ამავე საკრებულოს დეპუტატი. ამას სხდომებზეც ამბობდა და კარგად დამამახსოვრდა. სააკაშვილის თქმით, „სამეული“ რომ ხელისუფლებაში მოვიდოდა, შვეიცარიის ბანკები საიდუმლო გრიფს მოხსნიდნენ ქართველი კორუმპირებული ჩინოსნების ანგარიშებს. ხალხს ამ დაპირებებისა სჯეროდა და იყო საპროტესტო მუხტი.

***— დღეს არ არის საპროტესტო მუხტი?***

— დღეს აღარ არის 2003 წელი. მას შემდეგ 18 წელიწადი გავიდა და ხალხის პოლიტიკური შეგნება გაიზარდა. დღეს თუ ნაციონალები ერთს იტყვიან, მათი მოწინააღმდეგეები საკადრის პასუხს გასცემენ, გაახსენებენ მეგის ქარდავას დანაშაულებს და სხვა ამბებს.

***— სააკაშვილის საქმეებზე სასამართლო პროცესების წინა სხდომები მის გარეშე გაიმართა. რამდენიმე დღეში ჩანიშნულია კიდევ ერთი სასამართლო. ამბობენ, რომ მას სააკაშვილი დაესწრება. რას ელით?***

— სიმართლე გითხრათ — კარგს არაფერს. რევოლუციური სიტუაცია არ არის, მაგრამ სააკაშვილის გარემოცვის გეგმები ცნობილია. ერთ ჩანაწერში საუბარია იმაზე, რომ ქუჩების ჩახერგვას 500-დან 600-მდე მანქანა ეყოფა. სწორედ ამ სცენარს ველოდები. მგონია, რომ ჩახერგვა მოხდება სასამართლო სხდომის შემდეგ, როცა სააკაშვილი სასამართლოს შენობიდან გამოვა. თუ ხელისუფლებას დასჭირდა ვერტმფრენი სააკაშვილის წასაყვანად, მაშინ ამას ნაციონალური მოძრაობა გამარჯვებად ჩათვლის.

***— ეს მათი გამარჯვება იქნება?***

— მათი გადასახედიდან ეს იქნება გამარჯვება. იტყვიან, რომ ხელისუფლება გაფარჩაკებულია და ვერტმფრენი დასჭირდა. იმედია, იარაღის გამოყენებასა და შენობის შტურმს მოერიდებიან. ეს თუ მოხდა, იქნება პოლიტიკური არმაგედონი. დესტაბილიზაცია არც ერთ ნორმალურ ადამიანს არ უნდა. ეს არ აწყობს ხელისუფლებას. ამიტომაა, რომ ხშირად ახსენებენ ვიდეოჩართვას სასამართლოს დროს. სააკაშვილის ვიდეოჩართვა კარგი გამოსავალია. ჩემი აზრით, პროცესი უნდა გადაიცეს ღია ეთერში.

***— ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე რა შეიცვალა პოლიტიკურ ველზე? არის მოსაზრება, რომ ელენე ხოშტარიას სახით გამოიკვეთა ახალი პოლიტიკური ლიდერი.***

— ელენე ხოშტარიამ 18 დღე იშიმშილა. ეს არ არის საკმარისი პოლიტიკური ლიდერობისათვის. ელენე ხოშტარიას პოლიტიკურ ლიდერობაზე მხოლოდ მისი მომხრეები საუბრობენ. ის არის პოლიტიკოსი, მაგრამ არა — პოლიტიკური ლიდერი. ხოშტარიას არ წამოუყენებია არც ერთი იდეა. მისი პარტია ნაცმოძრაობის დანამატია, თვითონ დაფრთიანდა ნაცმოძრაობაში. 1988 წელს უამრავი ადამიანი შიმშილობდა, მაგრამ პოლიტიკური ლიდერი რამდენიმე იყო — გამსახურდია, კოსტავა, ჭანტურია, სულ 4-5 პიროვნება.

# „სააკაშვილის შეწყალება საუკეთესო გამოსავალია“

## ვახტანგ ძაბირაძე: „სააკაშვილის ფაქტორმა მობილიზება გაუკეთა არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის, არამედ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველსაც“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ირაკლი კობახიძემ დაადასტურა, რომ სტრასბურში შეხვედრებზე მიხეილ სააკაშვილსა და პოლარიზების შემცირებაზე იყო საუბარი. შეიძლება, უცხოეთში სამკურნალოდ გადაყვანაზეც კი იყოს ლაპარაკი?***

– ამ შეხვედრებზე სააკაშვილის თემაზე საუბარი რომ იქნებოდა, ცალსახაა. რომც არ უნდოდეს ამის დადასტურება კობახიძეს, არავინ დაიჯერებს, რომ ასეთი საუბრები არ იყო.

რაც შეეხება სააკაშვილის საკითხს, როგორ უნდა მოაგვაროს ის ხელისუფლებამ: თუ მართლაც გადაიყვანეს, მაგალითად, გერმანიაში, რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ რა ხდება, ბრუნდება ციხეში თუ არ ბრუნდება? ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა, თუ როგორ განვითარდება შემდგომი პოლიტიკური პროცესი ქვეყანაში. თუ რეაბილიტაციის შემდეგ სააკაშვილი რუსთავის ციხეში ბრუნდება, ეს ნიშნავს, რომ საპროტესტო გამოსვლების ახალი ეტაპი იწყება. ამ დროს რამდენად იგებს პოლიტიკურად ხელისუფლება? თუ გლდანის ციხიდან გორის ჰოსპიტალში გადაყვანა ოპოზიციამ გამარჯვებად გამოაცხადა, წარმოგიდგენიათ, გერმანიაში გადაყვანას როგორ შეაფასებს. ეს იქნება პირდაპირ იმის მინიშნება, რომ დასავლეთმა ხელისუფლებას კატეგორიულად მოსთხოვა სააკაშვილის მკურნალობა და რეაბილიტაცია უცხოეთში.

ამიტომ რთულად წარმომიდგენია, ხელისუფლება დასთანხმდეს მიხეილ სააკაშვილის დასავლეთში გადაყვანას სარეაბილიტაციოდ, თუ არ დავუშვებთ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ „ქართულ ოცნებასა“ და სააკაშვილს შორის გარკვეული შეთანხმება არსებობდა.

***– და რაში აწყობდა ასეთი შეთანხმება ან სააკაშვილს, ან „ქართულ ოცნებას“? თუ „ქართულმა ოცნებამ“ ამ არჩევნებზე ასი ათასით გაზარდა თავისი ამომრჩეველი, ნაციონალურმა მოძრაობამაც დაახლოებით ასი ათასით გაზარდა.***

– თუ ასე არ იქნებოდა, ხელისუფლება შეიძლება უფრო რთულ დღეში ყოფილიყო. რა თქმა უნდა, სააკაშვილის ფაქტორმა მობილიზება გაუკეთა არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის, არამედ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველსაც. თუ სააკაშვილი უკრაინაში დაბრუნებას დასთანხმდება, მაშინ მისი ფაქტორი ისევ მინიმუმამდე დავა.

***– დათმობს? რამდენად დასთანხმდება? ის თვლის, რომ ეს მისი მხრიდან თავგანწირვა იყო.***

– თუ შეთანხმების ვერსია რეალურია, მაშინ, ცხადია, რომ დაბრუნდება უკრაინაში, თუმცა ამ ყველაფერს მოვლენების განვითარება გვიჩვენებს.

ყველაფერს გადაწყვეტს ის, თუ რეაბილიტაციის კურსის გავლის შემდეგ სად წავა, აბრუნებენ ციხეში სასჯელის მოსახდელად თუ ქვეყანას განარიდებენ, უკრაინაში თუ სხვაგან, ნებისმიერ ადგილას.



რაც შეეხება იმას, პოლიტიკურად რა უფრო მომგებიანი ან წამგებიანია ხელისუფლებისთვის, მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილის გაგზავნა სარეაბილიტაციოდ დასავლეთში, გერმანიაში თუ სხვაგან, წამგებიანი იქნება ხელისუფლებისთვის, სწორედ იმიტომ, რაც უკვე მოგახსენეთ. თუ დასავლეთი ფიქრობს, რომ ამ ნაბიჯით ქვეყანაში პოლარიზაცია შემცირდება, რასაც ისინი ითხოვენ, ძალიან ცდებიან. ეს ხელისუფლების უკანდახევად იქნება აღქმული.

***– ჰუმანური ხელისუფლების იმიჯის მორგება უკვე ძალიან გაუჭირდებათ? თავიანთ ამომრჩეველს რომ შესთავაზონ ასეთი რიტორიკა, ეს ძალიან ყალბი იქნება?***

– და ვინ დაიჯერებს ამას?! ზოგადად, სხვადასხვა კატეგორიის ამომრჩეველი არსებობს: ერთი, რომელიც ყველა შემთხვევაში უკანასკნელ წუთამდე ხელისუფლების ერთგული ამომრჩეველია, მეორე, რომელიც მოვლენებს აკვირდება და მესამე, რომელიც სადღაც შუაშია, არც ერთი მოსწონს და არც მეორე. ამ ნაწილის მიმხრობაზე მიდის თამაში.

***– და ეს პროცესები რამდენად ახდენს გავლენას ამომრჩევლის ამ ნაწილის გადაბირებაზე?***

– ახდენს ან არ ახდენს. ყოველ შემთხვევაში, ამას ცდილობს ერთიც და მეორეც.

***– ასე თუ ისე, ხელისუფლებისთვის სააკაშვილი თავისტკივილად რჩება.***

– დიახ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე ადვილი გამოსავალი მაინც პრეზიდენტის მიერ შეწყალება მგონია, თუმცა, ცხადია, „ქართული ოცნებისთვის“ ესეც პოლიტიკური საფრთხეა. თუ შეწყალება მოხდება იმ პირობით, რომ ის წავა უკრაინაში, მაშინ პრობლემა მოიხსნება, მაგრამ რამდენად დასთანხმდება?! ამ შემთხვევაში პოლარიზება ნამდვილად შემცირდება და უკვე სულ სხვა, ახალი პოლიტიკური პროცესი დაიწყება.

# დათო ლორთქიფანიძე: „დროა, ხელისუფლებამ სამართლებრივად იმოქმედოს“



**„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.**

გულიკო ბალაძე

***– ბატონო დათო, 2003 წლის რევოლუციის შემოქმედი სააკაშვილი დღეს ციხეშია, თუმცა ნაცმოძრაობა მის უპირობო გათავისუფლებას მოითხოვს. თქვენ წერთ, რომ 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა, განსაკუთრებით შემოპარულის გამო, ლაკმუსის ქაღალდის როლი ითამაშა. რას გულისხმობთ?***

– 1-ლი ოქტომბრის შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი პატიმრობაში აიყვანეს, ადამიანების გარკვეული ჯგუფი მას მხარდაჭერას უცხადებს ყოველგვარი გააზრების გარეშე, სასამართლოზე ბრალის დამტკიცების უგულებელყოფის მცდელობით. ადამიანს დანაშაული აქვს ჩადენილი, მისჯილი აქვს პატიმრობა, შენ კი გამოდიოდე და ამბობდე, უდანაშაულოა, თანამედროვე სახელმწიფოს შემქმნელია, აღმშენებელია და უპირობოდ უნდა გათავისუფლდესო, სირცხვილია.

***– ეს დამოკიდებულება თქვენთვის რას ნიშნავს?***

– მინიმუმ ეს ძალიან დიდი უხერხულობაა (გვარებსა და სახელებს არ დავასახელებ). პიროვნებები, განსაკუთრებით მის პარტიულ ტელევიზიებში, ყოველდღიურად გადაადგილდებიან ერთი ტოკშოუდან მეორეში, მეორიდან მესამეში და თავიანთ აზრს ღიად აფიშირებენ. ერთი მხრივ, ეს კარგია, დემოკრატიის მანიშნებელია, რომ ადამიანებს არ ეშინიათ და გამოხატვის თვალსაზრისით თავისუფალი არიან. მეორე მხრივ, ადამიანებს უჩენენ განცდას, რომ ისინი ამდენი ხნის განმავლობაში თავიანთ დამოკიდებულებას მალავდნენ.

***– სააკაშვილი დემეტრე თავდადებულსაც კი შეადარეს. ეს რამდენად სწორია?***

– აბსოლუტურად ზედმეტი ქათინაურებია, რომლებიც საზოგადოების წარმომადგენლებისაგან ისმის, რაც არ მიკვირს, რადგან ეს ადამიანები პირდაპირ მიშაზე არიან შეყვარებული, სადაც არის მესიანიზმი და ზებუნებრივი განწყობები ადამიანის მიმართ. მათი ეს განწყობები ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია, მაგრამ – მიუღებელი.

***– ყველაზე მეტად ვისმა სიმპათიამ გაგაკვირვათ?***

– სიმართლე გითხრათ, პიროვნებების დასახელება არ მინდა, მაგრამ განსაკუთრებით გამაკვირვა ხელოვნების მუშაკების სიმპათიამ, რომლებიც წლების განმავლობაში ძალიან კარგად გრძნობენ თავს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, მათგან ერთი უარყოფითი რეაქცია არ გამიგია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიმართ. ახლა რაღაც ერთიანად აღტყინდნენ. თუნდაც გააკვირვა სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლების ემპათიამ, რომლებიც საპროტესტო აქციებს მართავენ. ამას სახელმწიფო ხელს არ უშლის.

დარწმუნებული ვარ, სააკაშვილის დროს ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო.

***– მახსოვს თქვენ მითხარით, რომ 26 მაისს მოკლული ასათიანის გასვენებაში ადამიანები ვერ მივიდნენ.***

– სულიკო ასათიანის დასაფლავებაზე ოპოზიციამ მისვლა ვერ გაბედა. იმიტომ კი არა, რომ მისვლა არ უნდოდათ. უბრალოდ, მათ ჰქონდათ ინფორმაცია, თუ მივიდოდნენ, მათ გარკვეული ჯგუფები დახვდებოდნენ და ქვებით ანგარიშსწორება მოხდებოდა. ამისთვის ემზადებოდნენ ნაციონალების აქტივისტები. როგორც კი ოპოზიციის წარმომადგენლები გამოჩნდებოდნენ, დაადანაშაულებდნენ, რომ მათი ბრალი იყო სულიკო ასათიანის მოკვდინება. მათ რომ არ ეაქტიურათ, კაცი სახლში იქნებოდა. ისინი მზად იყვნენ, ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის ქვები დაეშინათ და ფიზიკურად გაენადგურებინათ.

უფრო მეტიც, სახლთან, გვერდით იდგა ვიდეოკამერა, რომელიც პანაშვიდების დღიდან დაკრძალვის წუთამდე ყველა მომსვლელს იწერდა. ზღაპარს არ გიყვებით, ჩემი თვალით ნანახს გიამბობთ. სულიკო ასათიანის დასაფლავებაზე ერთი საათით ადრე მივედი. ეზოში რომ შევედი, გაკვირვებული დავრჩი, ეზოში მაქსიმუმ 5-10 ადამიანი თუ იქნებოდა. ვიკითხე, ხომ არ დამაგვიანდა-მეთქი (თბილისიდან ჩავედი). მითხრეს, არა, ბატონო დათო, არ დაგვისაფლავებიაო.

მისასამძიმრებლად რომ შევედი, დაღუპულის მეუღლემ, ქალბატონმა შორენამ გამაჩერა და მითხრა, უნდა გაჩვენოთ, რა დღეშია დენით მოკლული ადამიანიო. ყელი ჰქონდა გამოგლეჯილი, მარჯვენა თვალი ამოთხრილი, ხელები დამტვრეული, რასაც დენი, ელემენტარულად, ვერ გააკეთებდა.

მახსოვს, მაშინ ოჯახმა, ჭირისუფალმა შემომჩივლა, რომ უახლოესმა ნათესავებმა დასაფლავებაზე მისვლა ვერ გაბედეს, რადგან შემდეგ ხელისუფლება ანგარიშს მას გაუსწორებდა. დეიდაშვილმაც ვერ გაბედა მისვლა. ასეთი რეჟიმი იყო. ახლა თუ ვინმეს ეს არ ახსოვს, მისი პრობლემაა.

***– წერთ, ახლა უკვე ხელისუფლების სამართლებრივად მოქმედების დროაო, ანუ რა გამოაჩინა მათმა მოქმედებამ ახლა ისეთი, რომ ხელისუფლებამ სამართლებრივად უნდა იმოქმედოს?***

– დიახ, დადგა დრო, ხელისუფლებამ სამართლებრივად იმოქმედოს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პიროვნებებთან დაკავშირებით რაღაც მინიშნებებს ვაკეთებ. ასე რომ ყოფილიყო, დავწერდი. მართალი სიტყვის თქმა არასდროს მომრიდებია და არც მომერიდება. თუ არ არის სამართალი, არ არის მშვიდობა.

ყველა იმ საქმეზე, რომლებიც დამნაშავეების წინააღმდეგ არის აღძრული, გამოძიება მიმდინარეობს და უნდა დასრულდეს.

***– ან თაროებზეა შემოდებული. იმავე სულიკო ასათიანის საქმე თაროზეა შემოდებული.***

– მივმართავ საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს – ერთ-ერთმა ცნობილმა პიროვნებამ, გენპროკურორის ყოფილმა მოადგილემ, გააკეთა განცხადება, რომ ამ ადამიანებზე აქვთ მასალები, რომლებიც შემოდებულია თაროზე. იმის გამო, რომ დემოკრატიას არ შეჰქმნოდა ხიფათი, ეს საქმეები თაროზეა შემოდებული. დღეს სადაც უნდა მოვხვდე საჯარო სივრცეში, მათ შორის, ტელევიზიასა და პრესაში, ყველგან მისვამენ კითხვას: რატომ მოხდა ეს?

მეც მინდა, ამაზე პასუხი მივიღო, ოღონდ სამართლებრივი დევნა განახლდეს და სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება. კატეგორიულად ვაცხადებ, არავის არაფერი არ უნდა დააბრალო, მაგრამ ჩადენილი დანაშაული სამართლებრივად არავის არ უნდა ეპატიოს, თორემ გავა გარკვეული პერიოდი და, როგორც ახლა მრავალხმიანობას ვისმენთ სამი გველვეშაპი ტელევიზიიდან, რომლებიც მოსახლეობას დღე და ღამე აზომბირებენ, ასე იქნება მომავალშიც, მათი რაოდენობა მოიმატებს, რომლებიც იგრძნობენ, რომ ხელისუფლება ამ მიმართულებით მოისუსტებს, იფიქრებენ, რომ არავის არაფერი დაუშავებია.

ამ ადამიანების არ მიკვირს, რომლებსაც, ერთი მხრივ, ჩადენილ დანაშაულზე დროულად პასუხი არ მოეთხოვათ, მეორე მხრივ, ფილიგრანული ტექნიკით ამტკიცებენ (ტექნიკურად, შეფარვითა და ფარული მესიჯებით), ეს ხალხი დამნაშავე რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, პასუხს აგებინებდნენ, მაგრამ აბრალებენო.

***– ბოლოს პროკურატურამ მეგის ქარდავას სახლში ამოღებული მასალები გაასაჯაროვა, მაგრამ ის უარყოფს.***

– მეგის ქარდავა ხომ არ იტყვის, მასალები ჩემს სახლშია ამოღებულიო. ჩხრეკა ჩატარდა. პროკურატურა ამბობს, რომ მასალები მისი სახლიდან არის ამოღებული...

***– უკრაინის პროკურატურა ამბობს, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამსახველი მასალები უკრაინაში მეგის ქარდავას საცხოვრებელი ადგილიდან არის ამოღებული.***

– პროკურატურა აცხადებს, რომ გამოქვეყნებული მასალა შედარებით მსუბუქია, ვიდრე სხვა მასალები, რომლებიც უკრაინაში მეგის ქარდავას ბინიდან ამოიღეს. ამიტომ, კეთილი ინებონ, აჩვენონ ტელევიზიით ის ამაზრზენი კადრები, სადაც ადამიანების წამების, გაუპატიურებისა და მკვლელობის იმიტაციების სცენებია ჩაწერილი. აჩვენონ ღამის საათებში, დაშტრიხული, რათა იმ ადამიანების იდენტიფიკაცია ვერ მოხდეს.

რადგან 2013 წელს მასალების განადგურების გადაწყვეტილება მიიღეს, კეთილი ინებონ და ახლა აღმოჩენილი კადრები საზოგადოებას აჩვენონ. მაშინ ვთქვი, შიმშილობას დავიწყებ-მეთქი, მაგრამ ბევრმა ადამიანმა მითხრა, ის მასალები ოფიციალურად განადგურებულიაო. ახლა პროკურატურამ ამოიღო მეგის ქარდავას გადაღებული კადრები, უამრავი მასალა.

***– მეგის ქარდავას თავისი (კიდევ სხვების) მამხილებელი კადრები თვითონ ჰქონია შენახული.***

– ეს მასალა საზოგადოებას აჩვენონ და საზოგადოებას გაუჩნდება აბსოლუტურად ბუნებრივი რეაქცია. დღეს ადამიანები მრავალ ხმაში გამოდიან, ტელევიზიიდან ტელევიზიაში დადიან და ამართლებენ იმ ადამიანებს, რომლებსაც უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი, უნდათ, ამ ადამიანებს უდანაშაულობის მანტია მოასხან, მათ გათავისუფლებას ითხოვენ, თან – უპირობოდ, ამიტომ ხალხმა უნდა ნახოს ის კადრები და მიხვდეს, რა რეჟიმთან გვქონდა საქმე.

***– თქვენ როგორ ატყობთ, სისტემურ დანაშაულებთან და ტერიტორიული მთლიანობის რღვევასთან დაკავშირებით სააკაშვილს ბრალი წარედგინება?***

– გავიმეორებ: არ არის სამართალი, არ არის მშვიდობა. 10 ათასი იქნება თუ 20 ათასი, სულ იქნება ვილაც ლიდერის მხარეს, მათ შორის, მიშას მხარეს. ამიტომ ყველა კითხვას, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს, თუნდაც აგვისტოს ომთან დაკავშირებით, პასუხი უნდა გაეცეს.

ტელევიზიით გავიდა სიუჟეტი, რომ მიხეილ სააკაშვილის სანახავად გორში ჩავიდა კახა ლომაია. ახლა თქვენი გაზეთის საშუალებით გენერალურ პროკურატურას მოვუწოდებ, ამოიღოს კახა ლომაიას მიერ გაკეთებული განცხადება, სადაც ის აღფრთოვანებით ლაპარაკობს, რომ საქართველოს მხარე ისწრაფვოდა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენისთვის ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში და მადლობას უხდიდა რუსეთის მხარეს: ისინი კონფლიქტის საკითხებში არ ერევიანო. შეიძლება, ზუსტი ტექსტი არ მახსოვს, მაგრამ, კეთილი ინებონ, ამოიღონ კადრები, დაკითხონ ლომაია.

## „ბათუმის საკრებულოში „ოცნებაში“ გადასასვლელად დეპუტატ ფუტკარაძეს 100.000 დოლარს სთავაზობდნენ“

ნაციონალური მოძრაობა სკანდალურ აუდიოჩანაწერებს ასაჯაროებს, რომელთა მიხედვითაც დგინდება, რომ ბათუმის საკრებულოს დეპუტატს ხელისუფლების წარმომადგენლები სხვადასხვა ფორმით ემუქრებოდნენ, ასევე სთავაზობდნენ 100.000 დოლარს.

რამდენიმე დღეში კი, 18 ნოემბერს, ნუგზარ ფუტკარაძე გულის შეტევით გარდაიცვალა.

გუშინ, 24 ნოემბერს, საგანგებო ბრიფინგზე გიორგი კირთაძემ განაცხადა, რომ საკრებულოში უმრავლესობის მოსაპოვებლად „ოცნებას“ ენმ-ს ფრაქციიდან ერთი ადამიანის გადაყვანა სჭირდებოდა.

– ჩვენი ფრაქციის სხვადასხვა წევრებზე მიმდინარეობდა ზეწოლა, თუმცა ერთ-ერთი პირველი ვისზეც დაიწყო ზეწოლა და მოსყიდვის მცდელობა, ეს გახლდათ ბატონი ნუგზარ ფუტკარაძე, რომელიც რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა და კიდევ ერთხელ მინდა სამძიმარი გამოვუცხადო ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს და მთელ ქვეყანას, – განაცხადა გიორგი კირთაძემ.

კირთაძის თქმით, მასთან მოლაპარაკებას თორნიკე რიჟვაძის მამის, დათო რიჟვაძის დავალებით სათავეში ჩაუდგა ასლან აბაშიძის დროინდელი ორი ყოფილი ძალოვანი – ვაჟა თაბაგიძე და ბადრი ბაკურიძე. ორივე მათგანს აჭარის რევოლუციის შემდეგ მოუწია აჭარიდან წასვლა და ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაბრუნდნენ ქალაქში.

– მათ არაერთი შეხვედრა გამართეს ნუგზარ ფუტკარაძესთან, ჩვენ ამის შესახებ საქმის კურსში ვიყავით, ბატონი ნუგზარი პირადად მე მაყენებდა საქმის კურსში ამ შეხვედრების შესახებ და მაშინ როცა ეს უკვე გაუსაძლის ხასიათს იძენდა ბატონმა ნუგზარმა თვითონვე გააკეთა ჩანაწერები, დარწმუნებული ვარ მეორე მხარეც ამ ჩანაწერებს აკეთებდა და ეს ჩანაწერები მომაწოდა პირადად მე, – თქვა კირთაძემ.

ჩანაწერებში კარგად ჩანს, როგორ სთავაზობდა ვაჟა თაბაგიძე 100.000-ს დოლარს გადასვლის სანაცვლოდ.

ენმ მამა-შვილ რიჟვაძეების გადადგომასა და გასაჯაროებულ აუდიოჩანაწერებზე გამოძიების დაწყებას ითხოვს. ასევე, ისინი ითხოვენ ხელვაჩაურის ახლადარჩეული მერის გადადგომასაც, რომლის ბიძაც, ჩანაწერების მიხედვით, ფუტკარაძის მიმართ ზეწოლაში ფიგურირებს.

გუშინ ნუგზარ ფუტკარაძის ოჯახში კომენტარი გაკეთდა.

რძალმა გურანდა ბერიძემ განაცხადა, რომ მის ოჯახზე ზეწოლა და შანტაჟი არ მიმდინარეობდა.

– მე არ ვიცი, რა თქვეს, არანაირი ზეწოლა ჩვენზე არ ყოფილა, ახლა არ მინდა, ვისაუბრო ტელევიზიით, მაგრამ ოჯახი აუცილებლად გავაკეთებთ განცხადებას, – განაცხადა გურანდა ბერიძემ.

# ქეთევან ჩხაიძე: „ჩემი ქმარი ნოდარ ღუნაშვილი ყოველდღე ძალადობდა ჩემზე... მის მკვლელობაში მონაწილეობა არ მიმიღია“

კასპში მეუღლის მკვლელობის დაფარვისთვის ბრალდებული ქეთევან ჩხაიძე რუსთავის მე-5 პენიტენციარული დაწესებულებიდან „ინტერპრესნიუსს“ წერილს უგზავნის.

წერილში ქეთევან ჩხაიძე სააგენტოს კითხვებს პასუხობს და აცხადებს, რომ დანაშაულის დაფარვასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას არ გაურბის, თუმცა როგორც ამტკიცებს, მეუღლის მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია.

ახალგაზრდა ქალი, რომელიც ამ ეტაპამდე დუმილის უფლებით სარგებლობს და სასამართლოში ჩვენებაც კი არ მისცა, მოკლულის ოჯახის წევრების ბრალდებებსაც პასუხობს და აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ გამოძიებამ მკვლელობაში მონაწილეობის კუთხით ვერანაირი მტკიცებულება ვერ მოიპოვა.

ბრალდებულს მოლოდინი აქვს, რომ დანაშაულის დაფარვისთვის სასამართლო მას გაამტყუნებს, თუმცა, როგორც ის აცხადებს, ამის შემდეგ „თავისუფალი იქნება და დაისვენებს, ვინაიდან შვილების ნახვის შესაძლებლობა მიეცემა“.

წერილში ჩხაიძე ციხეში ცხოვრებაზეც საუბრობს.

„პენიტენციურ დაწესებულებაში ცხოვრება რა თქმა უნდა რთულია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ორი პატარა ბიჭის დედა ხარ და ამ დროს პროკურატურა გარე სამყაროსთან კომუნიკაციას გიკრძალავს, აკრძალული მაქვს დარეკვის, ამანათების მიღების და გაგზავნის უფლება. 7 თვეა, ბავშვები არ მინახავს, მათი ხმაც კი არ გამიგია. ერთადერთხელ – ადვოკატმა, დისტანციური პროცესის დროს ტელეფონიდან დამანახა მათი სახეები. შესაბამისად, მთელი ამ ხნის მანძილზე, ჩემი კავშირი სამყაროსთან მხოლოდ და მხოლოდ ადვოკატის დახმარებით ხდებოდა, მაშინ, როდესაც ჩემს სანახავად შემოდიან და მიყვებიან, თუ როგორ არიან ჩემი პატარები და ჩემი ოჯახი. ამასთან, რთულია, როდესაც ერთ ოთახში ხარ ჩაკეტილი, მაგრამ ამასაც შევეჩვიე და პროცესი რომ მაქვს და რამოდენიმე საათით ვტოვებ ჩემს ოთახს, ცუდად ვარ და ერთი სული მაქვს ჩემს საკანში დავბრუნდე. ვიცი, რომ მალე დანაშაულის დაფარვისთვის დამენიშნება სასჯელი და დავისვენებ, გარკვეულწილად თავისუფალი ვიქნები. ერთი სული მაქვს დამთავრდეს პროცესები, გამოიტანოს სასამართლომ განაჩენი და მომეხსნას ეს საშინელი აკრძალვა, რათა ვნახო ჩემი შვილები და ჩემი მშობლები“, – აცხადებს ჩხაიძე.

კითხვაზე, თუ რატომ არ განაცხადა პოლიციაში მისი ქმრის მკვლელობის შესახებ და ფიქრობდა თუ არა, რომ აღნიშნული დანაშაულის შესახებ ვერავინ გაიგებდა, როგორც ამას მკვლელობაში ბრალდებული ეუბნებოდა, ჩხაიძე პასუხობს, რომ სამართალდამცავებს მომხდარის შესახებ მაშინვე უამბო, როგორც კი ის საგამოძიებო ორგანოში დაიბარეს.

„ჩემი მეუღლის მკვლელი მკვლელობის ღამესვე დაბრუნდა, ამიტომ ვიყავი ძალიან შეშინებული. უნდა მეცნობებინა მაშინვე პოლიციისთვის, მაგრამ ვერ გავბედე ისეთ მდგომარეობაში ვიყავი. როგორც კი დამიბარეს, იმავე დღეს გამომძიებელს პირველმა მე მოვუყევი მომხდარის შესახებ და ჩემი მონაყოლის სისწორე დადასტურდა კიდეც მოგვიანებით.

მე ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. ძალიან ბევრს ჰქონდა ეჭვი, რომ შესაძლოა, მკვლელობაში თანამონაწილე ვყოფილიყავი. ჩემი და ჩემი ადვოკატების მიზანი იყო სიმართლის დამტკიცება და მადლობა ღმერთს, დამტკიცდა, რომ ჩემი მეუღლის მკვლელობაში არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია“, – აცხადებს ბრალდებული.

კითხვაზე, თუ რატომ მიიღო მტკიცებულებების განადგურებაში მონაწილეობა და რატომ გარეცხა მეუღლის კუთვნილი სისხლიანი ავტომობილი, ჩხაიძე აცხადებს, რომ „მანქანა მას არ გაურეცხავს და ის ბრალდებულ კახიშვილისა და ღუნაშვილის მეგობრებმა გარეცხეს“.

დაკავებული ქალი მეუღლის ოჯახის წევრების ბრალდებებსაც პასუხობს, რომელთა მიხედვითაც, ღუნაშვილი მან და კახიშვილმა ერთად მოკლეს.



„როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სასამართლო სხდომაზე ჩვენ დუმილის უფლება ვარჩიეთ. თუმცა ერთი რამ ცალსახად შემიძლია დაგიდასტუროთ – ნოდარ ღუნაშვილის მკვლელობაში მე, ქეთევან ჩხაიძეს, არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია. მკვლელობის დღიდან მოყოლებული, თითქმის, 6 თვე მიმდინარეობდა გამოძიება, ვთანამშრომლობდი გამოძიებასთან, უსმენდნენ ყველას და ყველაფერს ჩემს გარშემო, თუმცა ვერანაირი მტკიცებულება ვერ მოიპოვეს, რაც ნოდარ ღუნაშვილის მკვლელობასთან ჩემს შემხებლობას დაადასტურებდა. პირიქით, მტკიცებულებებით გამოირიცხა ჩემი მხრიდან მკვლელობაში მონაწილეობა.

საქმეში მტკიცებულებათა გამოკვლევით გამოირიცხა ჩემი მხრიდან მკვლელობაში რაიმე სახის მონაწილეობა. დადასტურდა, რომ ნოდარი მოკლულია არა სახლში, არამედ სახლიდან მოშორებით გარდაიცვალა. ასევე დადასტურდა, რომ მე მისთვის არაფერი ჩამირტყამს. სასამართლოში ჩემი ადვოკატის კითხვებზე ექსპერტმა ისეთი პასუხები გასცა, რითაც გამოირიცხა ჩემი მკვლელობაში მონაწილეობა. მაგალითად, ექსპერტმა თქვა, რომ შესაძლოა, თავში მიყენებული დაზიანებით გათიშულიყო ნოდარ ღუნაშვილი მხოლოდ რამდენიმე წამით მაშინ, როცა მე მაბრალებდნენ, თითქოს, ნოდარი გავთიშე, კახიშვილს ვთხოვე გათიშული კაცის სხვაგან წაყვანა და მოკვლა. ასევე ექსპერტმა ადვოკატის კითხვაზე პრაქტიკულად დაადასტურა, რომ ჩემ მიერ გამოძიებისთვის მოწოდებული ინფორმაცია არ არის არასწორი. მართალია, ძალიან სურდათ მკვლელობის დაბრალება, მაგრამ მჯეროდა, რომ ვერ დამიმტკიცებდნენ იმას, რაც არ ჩამიდენია“, – აცხადებს ჩხაიძე.

კითხვაზე, თუ რა აქვს საზოგადოებისთვის სათქმელი ქალს, რომელიც როგორც თავად აცხადებს, წლების განმავლობაში ძალადობის მსხვერპლი იყო, საბოლოოდ კი გისოსებს მიღმა თავად აღმოჩნდა, ჩხაიძე აცხადებს, რომ „მოძალადე ადამიანთან არავინ არ უნდა იცხოვროს“.

„ყველას ვურჩევ, რომ არ დაუშვან იგივე შეცდომა. წლების განმავლობაში ვიყავი ძალადობის, წამების მსხვერპლი. თითქმის ყოველდღე ვიყავი ძალადობის ქვეშ, მე კი შვილების გამო ვითმენდი ამ კოშმარში ცხოვრებას. მე ყველა ქალს ვურჩევ, რომ არ გაიმეორონ იგივე შეცდომა, რაც მე, იბრძოლონ თავიანთი უფლებებისთვის და ერთი დღეც არ იცხოვრონ მოძალადე ადამიანთან. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვისაც თავიდანვე სჯეროდა, რომ მე ჩემი მეუღლის მკვლელობაში მონაწილეობა არ მქონდა მიღებული“, – აცხადებს ჩხაიძე.

ცნობისთვის, მიმდინარე წლის 13 მარტს, კასპში 34 წლის ნოდარ ღუნაშვილი მოკლეს. მკვლელობის ფაქტზე შემთხვევიდან მეორე დღეს სამართალდამცავებმა მისი მეგობარი, 30 წლის მამაკაცი – ზურაბ კახიშვილი დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა ღუნაშვილს ანგარიშსწორების მიზნით, ცივი იარაღით სხეულზე სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. მომხდარიდან რაღაც პერიოდის შემდეგ, სამართალდამცავებმა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვის ბრალდებით მოკლული მამაკაცის მეუღლე – 31 წლის ქეთევან ჩხაიძე დააკავეს.

დაკავებულებს ბრალი განზრახ მკვლელობისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვის ფაქტებზე, სსკ-ს 108-ე და 375-ე მუხლის მესამე ნაწილით აქვთ წარდგენილი.

# ნიკა გვარამია: „სააკაშვილს უსამართლო სასამართლოს უფლებაც კი წართმეული აქვს“



მიხეილ სააკაშვილის უფლებადამცველი ნიკა გვარამია ამბობს, რომ მესამე პრეზიდენტს უსამართლო სასამართლოს უფლებაც კი წართმეული აქვს.

– ნულოვანი ნდობა აქვს ბიძინა ივანიშვილის სასამართლოსი, მიუხედავად ამისა და მიუხედავად მისი სისუსტისა, ის ითხოვს, გადაყვანილ იქნას სასამართლოში, სადაც ის ღია პროცესი უნდა იყოს და ის ქართველი ხალხის წინაშე ილაპარაკებს სიმართლეს და საერთოდ არ აინტერესებს, როგორი იქნება პროკურორების, სასამართლოს და „ქართული ოცნების: ხელისუფლების აღქმა.

თუმცა კვლავ უსვამს ხაზს, რომ მან შესთავაზა ბიძინა ივანიშვილს პლატფორმა, რომელსაც იგი უპირობოდ ენდობა და სრულფასოვნად მიიღებს მონაწილეობას ამაში. ეს იქნება სპეციალურად შექმნილი სასამართლო, ეს ტექნიკის საკითხია, კონსტიტუცია გასაგებია, რომ სპეციალურ სასამართლოებს გამორიცხავს, მაგრამ რაღაცა ფორმატი შეიძლება მოინახოს, რომელსაც ენდობა ხელისუფლებაც და ენდობა სააკაშვილიც. ამ შემთხვევაში იგი კიდევ ერთხელ, ქართველი ხალხის წინაშე დაამტკიცებს თავის უდანაშაულობას, მე ამაში დარწმუნებული ვარ თუ ეს სასამართლო იქნება მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მანვე დაამატა, რომ ასეთი სასამართლოსი ივანიშვილს ეშინია, რის გამოც არ დაუშვებს მსგავს პრეცედენტს.

# თბილისში 33 წლის მამაკაცი მოკლეს

## დაკავებულია მისი მეგობარი



23 ნოემბერს თბილისში, სამგორში, გუდარეხის ქუჩაზე, მკვლელობა მოხდა.

მოკლული 33 წლის დავით მარიკიანის დედა ამბობს, რომ მკვლელობა შურისძიებას უკავშირდება. მისი თქმით, კონფლიქტი მის შვილსა და მეზობელს შორის ერთი თვის წინ დაიწყო, რის შემდეგაც გოჩა ლაფერაშვილი მარიკიანს მოკვლით დაემუქრა. მოკლულის დედა დარწმუნებულია, რომ მეზობელმა მისი შვილის მკვლელობა წინასწარ დაგეგმა.

– ერთი თვის წინ კონფლიქტი მოუვიდა მაგ ბიჭთან რაღაცა მესიჯის გულისთვის, ამერიკიდან მესიჯი მოსწერა უბნის რძალმა ამხანაგს, შენი საქმე არ არის, მე უბნის რძლებთან როგორ ვიქნებიო, კონფლიქტი მოხდა და იჩხუბეს. მე გაგამწარებო, არ შეგარჩენო. ერთ სუფრასთან ქეიფობდნენ, იქ არაფერი ყოფილა. ჩამოსულა სახლში, მერე ვილაცას დაურეკია და იარაღით ავარდნილა, მაგან მოუწყო, რომ მარტო ნახა, გამიზნული ჰქონდა. მეზობლის ბიჭმა, სიგარეტზე შევედიო და, რომ გამოვედი, ისროლაო, – ამბობს მოკლულის დედა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული გ.ლ. განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 23 ნოემბერს, საღამოს საათებში ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი, 1988 წელს დაბადებული დ.მ. და ბრალდებული გ.ლ. მეგობრებთან ერთად, თბილისში, მათსავე საცხოვრებელი ბინის მიმდებარე ქუჩაზე იმყოფებოდნენ.

დ.მ.-სა და გ.ლ.-ს კონფლიქტი მოუხდათ და ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, რის შემდეგაც გ.ლ.-მ მეგობარი დ.მ. ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით გულმკერდის არეში დაჭრა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა, ხოლო გ.ლ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და სამძებრო მოქმედებების შედეგად გ.ლ. საგარეჯოში დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე მიმდინარეობს სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

# მარტვილის სკოლაში ჭერი ჩამოინგრა

მარტვილის რაიონის სოფელ ჭყონში, ლედგებეს უბანში მდებარე სკოლაში საკლასო ოთახის ჭერი ჩამოინგრა.

სკოლა ერთი თვის გარემონტებული იყო.

დაზარალებულთა შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

# აფხაზეთში კანონიერი ქურდის, თენგიზ ლაკერბაიას, მკვლელობა ცადეს

აფხაზეთში კანონიერი ქურდის მკვლელობა ცადეს, რის შემდეგაც დაწვეს ავტომობილი, რომლითაც თავდამსხმელები გადაადგილდებოდნენ.

კრიმინალური ავტორიტეტის თენგიზ ლაკერბაიას ლიკვიდაციის წარუმატებელი მცდელობა სოხუმში მოხდა. ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ლაკერბაიას მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. დაჭრილია ერთი მამაკაცი. თავდამსხმელები შემთხვევის ადგილიდან „ჰონდას“ მარკის ავტომობილით გაიქცნენ, რომელსაც მოგვიანებით ცეცხლი წაუკიდეს.

თენგიზ ლაკერბაიაზე თავდასხმის ეს პირველი შემთხვევა არ არის. რამდენიმე თვის წინ მას ციხეში ადუღებული ზეთი შეასხეს. თავდასხმის უკან ასევე კანონიერი ქურდის რაულ ბარცბას დაჯგუფებას მოიაზრებენ.

# გლდანის ციხეში უკრაინელი პატიმარი გარდაცვლილი იპოვეს

გლდანის ციხეში 32 წლის პატიმრის ცხედარი იპოვეს.

უკრაინის მოქალაქე ეგორ გრეგენკო უსაფრთხოების სამსახურმა უგონო მდგომარეობაში ციხის საკანში ნახა.

– მე დღეს მოვედი აქ ციხეში, ვნახე სულ სხვა პატიმარი. იქიდან გამოსულს მირეკავს სახელმწიფო დაცვის ინსპექტორის სამსახურიდან და მეუბნება, რომ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი ეგორ გრეგენკო გარდაიცვალა და მეკითხება ასეთ რაღაცას, პროზექტურიდან ვინ წაიყვანსო. მე ვითხოვე კატეგორიულად, რომ მოეცათ ჩემთვის ნება, შევსულიყავი და დავსწრებოდი დათვალიერებას. დიდი ჩხუბის შემდეგ რომ ავუხსენი, რომ მაქვს ამის უფლება, მითხრა, რომ თუ შემოხვალ, მე დაგასწრებო. შემოვედი, ორდერი მაქვს და არ მიშვებენ შიგნით, რაღაც შინაგანაწესიაო. იქ არის გარდაცვლილი, მე ვყავარ მარტო ამ პატიმარს, ადვოკატი, მეტი არავინ ჰყავს და არ მიშვებენ, რომ დავესწრო, ვნახო, რა მდგომარეობაშია ახლა, – განაცხადა პატიმრის უფლებადამცველმა ჯაბა კოჭლამაზაშვილმა.

მისი თქმით, გრეგენკო მასთან ბოლომდე არ გახსნილა, თუმცა სამარტოო საკანში გადაყვანა სთხოვა.

– ბოლოს როდესაც ვნახე ეგორი, მითხრა, რომ თუა შესაძლებელი სამარტოო საკანში გადასვლა. მე არ ვიცი, ეს რის გამო მთხოვა მან, – თქვა ადვოკატმა.

ეგორ გრეგენკო გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელს რამდენიმე თვეა იხდიდა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო.

ეგორ გრეგენკოს ცხედარი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს.

სპეციალური პენიტენციარული სამსახურის ინფორმაციით, ეგორ გრეგენკოს გარეგნული დათვალიერებით ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებოდა.

როგორც პენიტენციარულ სამსახურში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, ოჯახის ექიმის მიერ უკრაინულ ენაზე 2006-2010 წლებში არსებული მსჯავრდებულის სამედიცინო დოკუმენტაციის გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ პატიმარს დადგენილი ჰქონდა პერინატალური ენცეფალოპათიის ნარჩენი მოვლენები, ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის სინდრომი.



„მსჯავრდებული ე.გ (დაბ. 18.03.1989 წ.) №8 პენიტენციურ დაწესებულებაში შემოსახლდა 30.07.2021 წ. სსსკ 19-260-ე მუხლის III, V ნაწილებით, 260-ე მუხლის III, VI ნაწილებით და განესაზღვრა 9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს დაწესებულებაში შემოსვლისას ჩაუტარდა პირველადი სამედიცინო შემოწმება, ანტიტუბერკულოზური სკრინინგი და კოვიდ-19 ინფექციაზე ანტიგენ სწრაფი ტესტი.

პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ე.გ.-ს ჩაუტარდა კოვიდ-19 საწინააღმდეგო ვაქცინაცია ფაიზერის ორი დოზით. 18.08.2021 წ. მსჯავრდებულს ჩაუტარდა ოჯახის ექიმის კონსულტაცია და რაიმე ჩივილი არ წარმოუდგენია. 19.11.2021 წ. ოჯახის ექიმმა განიხილა უკრაინულ ენაზე 2006-2010 წლებში არსებული მსჯავრდებულის სამედიცინო დოკუმენტაცია, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ე.გ.-ს დადგენილი ჰქონდა პერინატალური ენცეფალოპათიის ნარჩენი მოვლენები. ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის სინდრომი.

24.11.2021 წ. დაახლოებით 07:05 საათზე მორიგე ექიმმა დააფიქსირა საწოლში ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც გასინჯვით მაგისტრალურ და პერიფერიულ სისხლძარღვებზე პულსაცია არ აღენიშნებოდა. არ ისმინებოდა გულის ტონები და სუნთქვა, ასევე, გუგის რეაქცია სინათლეზე იყო უარყოფითი. გარეგნული დათვალიერებით ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებოდა.

რეანიმაციული ღონისძიებების პარალელურად გამოძახებულ იქნა სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელმაც დააფიქსირა გარდაცვალების ფაქტი. მსჯავრდებულის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა“, – განაცხადეს პენიტენციარულ სამსახურში.

# გერმანიაში ახალი კოვიდშეზღუდვები ამოქმედდა

გერმანიაში კორონავირუსის შემთხვევების შემცირების მიზნით 24 ნოემბრიდან ახალი შემზღუდველი ზომები ამოქმედდა.




ახალი ზომების თანახმად, მოქალაქეები ვალდებული არიან, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სამუშაო ადგილებზე ვაქცინაციის, გამოჯანმრთელების ან კოვიდტესტის უარყოფითი პასუხის დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინონ.

მანამდე ასეთი დოკუმენტის წარდგენა დახურულ სივრცეებში, მათ შორის ბარებში, რესტორნებსა და გასართობ ობიექტებში შესვლისას იყო აუცილებელი.

ამასთან, მთავრობამ დამსაქმებლებს მოუწოდა, შესაძლებლობის შემთხვევაში, თანამშრომლებს სახლიდან მუშაობის ნება დართონ. ასევე, ტარდება სავალდებულო ყოველდღიური ტესტირება მოხუცებულთა თავშესაფრების თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის, მიუხედავად იმისა, ვაქცინირებულები არიან თუ არა ისინი.

გერმანიაში გასული 24 საათის განმავლობაში კორონავირუსის 66.884 ახალი შემთხვევა გამოვლინდა და 335 ადამიანი გარდაიცვალა. ამასთან, ავადობის შვიდდღიანმა კოეფიციენტმა, რომელიც ყოველ 100.000 მოსახლეზე დაინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობას ასახავს, 404.5-ს მიაღწია, რაც რეკორდულად მაღალი მაჩვენებელია ქვეყნისთვის პანდემიის დაწყების დროიდან.

# თურქეთში ლირის გაუფასურებას აქციები მოჰყვა



თურქეთის ქალაქებში, ანკარასა და სტამბოლში, მოქალაქეებმა ეროვნული ვალუტის გაუფასურება გააპროტესტეს.

სოციალურ ქსელებში ვრცელდება კადრები, სადაც ჩანს, რომ დემონსტრანტები ხელისუფლების გადადგომას ითხოვენ და რეჯეფ თაიფ ერდოღანის პარტიის საწინააღმდეგო ლოზუნგებს სკანდირებენ.

„სამართლიანობისა და განვითარების პარტია“ საფლავში, ხალხი – ხელისუფლებაში“, – აცხადებენ აქციის მონაწილეები.

სოციალურ მედიაში გავრცელებულ ვიდეოებში ასევე ჩანს, რომ სტამბოლსა და დედაქალაქ ანკარაში შეკრებილ მომიტინგეებს სამართალდამცავები გზას უკეტავენ და გადაადგილების საშუალებას არ აძლევენ.

23 ნოემბერს თურქული ლირა ამერიკულ დოლართან მიმართებით 15%-ით გაუფასურდა, 2021 წლის დასაწყისიდან კი თურქეთის ეროვნული ვალუტა 45%-ით არის გაუფასურებული.

# ჩონ დუ ხვანი გარდაიცვალა

90 წლის ასაკში გარდაიცვალა სამხრეთ კორეის ყოფილი პრეზიდენტი ჩონ დუ ხვანი.

ჩონ დუ ხვანი თავის დროზე ხელისუფლებაში სამხედრო გადატრიალების გზით მოვიდა. მან სასტიკად ჩაახშო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა, რის გამოც შემდგომში გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს.

შემდეგში ჩონი გაათავისუფლეს.

სპეციალისტების აზრით, ჩონ დუ ხვანმა თავისი ქვეყნისათვის ბევრი კარგი გააკეთა. მისი ხელმძღვანელობით გატარდა ეკონომიკური რეფორმები. შედეგად სამხრეთ კორეა აყვავებულ ქვეყნად გადაიქცა. დაიწყო ეკონომიკური ბუმი. ამას გარდა, ჩონ დუ ხვანმა დემოკრატიული რეფორმებიც გაატარა. შედეგად ქვეყანაში ჩატარდა თავისუფალი არჩევნები, რომლებშიც ჩონის მეგობარმა რო დე უ-მ გაიმარჯვა.

# გაზპრომი მოლდოვას ემუქრება

გაზპრომი მოლდოვას გაზის მიწოდების შეწყვეტით ემუქრება. რუსები ამბობენ, რომ მოლდოვას უზარმაზარი ვალი დაუგროვდა.



მოლდოვის ვიცეპრემიერმა სპინუმ საპასუხო განცხადება გააკეთა. მან ვალის არსებობა დაადასტურა და განაცხადა:

– გაზპრომის ვალი აუცილებლად უახლოეს დროში დაიფარება!

სპინუ ამტკიცებს, რომ სათანადო თანხები უკვე მობილიზებულია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ბენზემა მსუბუქად დასაჯეს

საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის რეალის თავდამსხმელი ქარიმ ბენზემა თანაგუნდელის ფარული ჩანაწერით შანტაჟის საქმეში დამნაშავედ ცნეს. მოსამართლემ თავდამსხმელს ერთწლიანი პირობითი პატიმრობა და 75.000 ევროს ჯარიმა დააკისრა.



სასამართლოს სხდომას არც ბენზემა დასწრებია და არც ვალბუენა, რომელიც ბერძნულ ოლიმპიაკოსში თამაშობს.

33 წლის ბენზემა ერთ-ერთი იმ ხუთთაგანია, რომლებსაც ერთი თვის წინ სასამართლოს წინაშე, პირველ სხდომაზე მოუხდათ წარდგომა. მიზეზი: ფრანგი ფეხბურთელის მატიუ ვალბუენას შანტაჟი.

სკანდალმა თავის დროზე საფრანგეთში ისეთი ხმაური გამოიწვია, რომ ნაკრებიდან ბენზემაც მოკვეთეს და ვალბუენაც. ამბავი კი 2015 წელს მოხდა, როდესაც ხსენებული ფეხბურთელები ეროვნული გუნდის შეკრებაზე იყვნენ. იქ ბენზემამ ვალბუენაზე ზეწოლა ცადა, ცდილობდა, თანაგუნდელი დაერწმუნებინა, რომ მას შანტაჟისტებისთვის ფული უნდა გადაეხადა. პროკურორის მტკიცებით, ბენზემა ბოროტმოქმედებთან შეკრული იყო.

რეალის თავდამსხმელი მთელი ამ წლების განმავლობაში ბრალდებას უარყოფდა და ამბობდა, რომ მას ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა – ვალბუენა სამარცხვინო ვიდეოს გამოქვეყნებისგან დაეცვა. სხვა სიტყვებით, ფულის გადახდას ურჩევდა.

სასამართლომ ბენზემას 4 თანამზრახველიც დამნაშავედ ცნო. ფორვარდის ადვოკატმა სილვაინ კორმიემ განაცხადა, რომ მათი მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებას აუცილებლად გააპროტესტებს. მან ვერსალელი მოსამართლის ვერდიქტს წინააღმდეგობრივი უწოდა.

ისტორია უფრო დაწვრილებით აღვწეროთ: ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც ვალბუენამ მავან აქსელ ანგოს მის ტელეფონში არსებული ფაილების სხვაგან გადაწერა სთხოვა. ანგომ ფაილებში სექსუალური ხასიათის ვიდეო იპოვა და თანამზრახველ მუსტაფა ზუაუისთან ერთად ვალბუენას შანტაჟი გადაწყვიტა. ზუაუიმ არ უარყო, რომ ჩანაწერი შეინახა, მაგრამ ამტკიცებდა, ფულის მოთხოვნა თავში აზრადაც არ მომსვლიაო.

შემდეგ ანგოსა და ზუაუის საქმეში ჩაურთავთ მესამე ადამიანი, ვინმე იონ უასი, რომელიც ამბობს, რომ ფეხბურთელს პირველი შეხვდა, მაგრამ ფული არ მოუთხოვია და, უბრალოდ, გააფრთხილა.

ამის მერე ვალბუენამ უკვე პოლიციას მიმართა, რომელმაც, თავის მხრივ, საქმეში ფარული აგენტი ჩართო. პროკურატურის თქმით, აქ საქმეს კიდევ ერთი ბოროტმოქმედი ქარიმ ზენატი დაემატა. ზენატი ბენზემას ბავშვობის მეგობარია. სწორედ მან ჩართო საქმეში ბენზემა, რომელიც ვალბუენასთან მივიდა და გამომძალველებისთვის ფულის გადახდა „ურჩია“.

პოლიცია კი საქმესთან დაკავშირებულ ყველა საუბარს იწერდა. მათ შორის ჩაწერილია, როგორ უთხრა ბენზემამ თავის მეგობარს, ვალბუენა სერიოზულად არ აღგვიქვამსო.

მას მერე, რაც სკანდალი აგორდა, ვალბუენას, ბენზემასგან განსხვავებით, ნაკრებში აღარ უთამაშია. მან სასამართლოზე თქვა, რომ ფეხბურთი მისი ცხოვრება იყო, რომელიც გამომძალველებმა დაუნგრიეს.

საინტერესოა, რომ არავინ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ საიდან გაჩნდა ჩანაწერი, რატომ იყო ის ვალბუენას ტელეფონში და იცავს თუ არა ვინმე იმ ქალის ინტერესებს, რომელიც ჩანაწერში მოხვდა. მასზე საერთოდ არ არის ლაპარაკი.

# ზესტაფონის მეპატრონე და მფლობელი ილია კოკაია გარდაიცვალა



2021 წლის 23 ნოემბერს სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში მდებარე დედაენის მწვერვალზე ლაშქრობისას ტრაგიკულად დაიღუპა საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის დამფუძნებელი და პრეზიდენტი ილია კოკაია.

კოკაია მწვერვალის დასალაშქრად მეგობარ ლევან მუშკუდიანთან ერთად იმყოფებოდა. ასვლის დროს კოკაია დაცურდა და თავი დაარტყა, რის შედეგადაც მისი სიცოცხლის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

2004 წლის 18 ივნისს ბატონმა ილიამ სააქციო საზოგადოება „გიორგი ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“ აქციონერებთან ერთად საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი დააფუძნა.

მისი ხელმძღვანელობით ზესტაფონი გახდა საქართველოს ჩემპიონი (2010-11, 2011-12), ვიცეჩემპიონი (2013-14), მესამე ადგილის მფლობელი (2007-08, 2009-10), საქართველოს თასის გამარჯვებული (2008) და საქართველოს სუპერთასის გამარჯვებული (2011, 2012).

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ზესტაფონი 2013 წელს ეროვნული ჩემპიონატიდან მოკვეთეს, რის შემდეგაც გუნდს თამაშის ხალისიც არ ჰქონდა, მაგრამ ბოლო წლებში მაინც დაიწყო ქვედა ლიგებიდან ამოსვლა. ზესტაფონი ბოლოს ეროვნულ ლიგა 4-ში იყო და რამდენიმე დღის წინ ლიგა 3-ში თამაშის უფლება მოიპოვა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# გზაზე მიმოფანტული დოლარების მიმთვისებელი მძღოლები ციხეში აღმოჩნდნენ

ამერიკის კალიფორნიის შტატში ინკასატორების ავტომობილიდან ფული გზატკეცილზე გადმოიყარა.

მანქანის კარი, რომელსაც ფული გადაჰქონდა, მოძრაობის დროს მოულოდნელად გაიღო და გზის სავალ ნაწილზე უამრავი კუპიურა მიმოიფანტა. ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, გზაზე ათასობით დოლარი მიმოიფანტა. ამის შედეგად მიმავალი მანქანები ჩერდებოდნენ და მალე გზატკეცილი მთლიანად გადაიკეტა. ზოგიერთი მძღოლი ჰაერში მოფრიალე ბანკნოტებს იჭერდა, ნაწილი კი მომხდარს მობილური ტელეფონით იღებდა.



პოლიცია შემთხვევის ადგილზე თითქმის ერთ საათში მივიდა. ორი პირი, მამაკაცი და ქალი, რომლებიც ფულის შეგროვებით იყვნენ დაკავებული, ადგილზევე დააპატიმრეს. სხვებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოასწრეს, თუმცა ისინიც, შესაძლოა, გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ. მათ პოვნას სამართალდამცავები იმ ვიდეოჩანაწერების დახმარებით აპირებენ, რომლებიც სოციალურ ქსელებში გამოჩნდა. გარდა ამისა, ფულის შემგროვებლებს ასევე ვიდეოზე იღებდა ინკასატორების ავტომობილის მძღოლიც.

– თქვენ ფული იპოვეთ გზატკეცილზე. ის თქვენ არ გეკუთვნით, – განაცხადა კალიფორნიის საგზაო საპატრულო სამსახურის სერჟანტმა კერტის მარტინმა, – ეს ფული ფედერალური კორპორაციის დეპოზიტის დაზღვევის, ამ ინკასაციის ავტომობილისა და ბანკის ფულია. ის უნდა დაბრუნდეს.

# უსახლკაროს პატიოსნებამ გამვლელებს გული აუჩუყა და მამაკაცს ჭერი აპოვნინა




ინგლისის უესტ-იორკშირის საგრაფოს უეიკფილდელდის მკვიდრმა უსახლკარომ თავს ზევით ჭერი პატარა დაფაზე გაკეთებული გულახდილი წარწერის წყალობით მიიღო.

38 წლის მაიკლ ბაკნელმა განაცხადა, რომ მას ფინანსური პრობლემები ჰქონდა და რაღაც მომენტში ის საარსებო საშუალების გარეშე ქუჩაში აღმოჩნდა. მან იქვე დაამატა, რომ დაიღალა ქუჩებში წოწიალით, გადაწყვიტა, როგორმე ფული შეეგროვებინა და სამსახური ეშოვა, რათა შობას საკუთარ ჭერქვეშ შეხვედროდა.

თუმცა ბაკნელი საკმაოდ სწრაფად შეეჯახა სასტიკ რეალობასა და უარყოფით დამოკიდებულებას გამვლელების მხრიდან. მისი ბედი არავის აღელვებდა და დახმარების სურვილს არ აღუძრავდა, პირიქით, უსახლკარო ყველას აღიზიანებდა.

– არ მიყვარს მათხოვრობა. მას მეტისმეტად დამამცირებლად მივიჩნევ. მაფურთხებდნენ, მირტყამდნენ, მაბრალებდნენ, რომ ფულს მხოლოდ იმისთვის ვითხოვ, რათა შემდეგ ნარკოტიკები მოვიხმარო, – აღნიშნა მან.

მუდმივი დამცირებისგან დაღლილმა ბრიტანელმა გადაწყვიტა, პატარა წინ აფარებულ დაფაზე, რომლის დახმარებითაც ფულს აგროვებდა, გაკეთებული ტექსტი შეეცვალა და დაწერა: „მე მქვია მაიკლი, არ მოვიხმარ არც ნარკოტიკებს და არც ალკოჰოლს, უბრალოდ, არ გამიმართლა, რომ უსახლკარო გავხდი. ვეძებ ნებისმიერ სამუშაოს. მადლობა დახმარებისა და სიკეთისთვის. მაიკლი“.

უსახლკაროს ეს განცხადება ნახა ქალმა, სახელად მოლი მეიმ. მან წარწერას ფოტოსურათი გადაუღო და ფეისბუქში განათავსა მოწოდებით, შემოწირულებები გაეღოთ ბაკნელის დასახმარებლად. ამან მრავალი ადგილობრივის დამოკიდებულება შეცვალა უსახლკაროს მიმართ. მოუხშირეს მისთვის ფულისა და საკვების მიცემას. გარკვეული დროის შემდეგ მამაკაცმა 150 ფუნტი სტერლინგის შეგროვება მოახერხა და დაიქირავა საცხოვრებელი ორგანიზაციაში, რომელიც უსახლკაროების დახმარებით არის დაკავებული.

# სამეფო ოჯახი „ბი-ბი-სის“ ბოიკოტით დაემუქრა



სამეფო ოჯახის წევრები „ბი-ბი-სის“ დოკუმენტური ფილმის The Princes and the Press-ის პირველი სერიის გამოსვლის შემდეგ მომავალი პროექტების ბოიკოტით დაემუქრნენ.

ბუკინჰემის სასახლის, პრინც უილიამისა და პრინც ჩარლზის ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ „ბი-ბი-სი“ გაბერილ და უსაფუძვლო მტკიცებულებებს პრინცებს უილიამსა და ჰარის შორის კონფლიქტზე სინამდვილედ ასაღებს.

კერძოდ, ერთ-ერთი გადაღების მონაწილე გახდა ჟურნალისტი ომიდ სკობი, რომელსაც „მეგანის საყვირი“ შეარქვეს. ფილმში მან სამეფო ოჯახის წევრებს ბრალად დასდო სასექსის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას წინააღმდეგ შეთანხმებული მოქმედება.

„ბი-ბი-სის“ მომავალი პროექტების ბოიკოტის მუქარა უკავშირდება იმას, რომ სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს საშუალება არ მისცეს, გასცნობოდნენ ფილმის შინაარსს მის ეთერში გასვლამდე და მასზე საკუთარი თვალსაზრისი გამოეხატათ.

თავის მხრივ, „ბი-ბი-სის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კორპორაციის წესების თანახმად, გამოსასვლელად გამზადებული მასალების გაცნობა შეუძლიათ მხოლოდ გადაღების უშუალო მონაწილეებს, ხოლო ვინაიდან ფილმში საუბარი მასმედიის წარმომადგენლების მხრიდან მიმდინარეობს, წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კალათბურთი: საქართველო ვარჯიშობს, უკრაინა მოდის

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები უკრაინასთან მატჩისთვის ემზადება. ამ მატჩით ილიას ზუროსის გუნდი მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს ხსნის. ტურნირის პირველი ფანჯრის ფარგლებში ჩვენი ეროვნული ნაკრები 2 შეხვედრას გამართავს. უკრაინასთან 26 ნოემბრის მატჩის შემდეგ საქართველო სტუმრად ესპანეთს დაუპირისპირდება. 26-ში ესპანელები პირველი ტურის მატჩს ჩრდილოეთ მაკედონიაში ითამაშებენ.

საქართველოს ნაკრებმა მომავალი მატჩებისთვის მზადება თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო. თავდაპირველად გუნდს მთავარი მწვრთნელის ასისტენტები – მილოშ გლიგორიევიჩი, გეორგიოს ლიმნიატისი და ანატოლი ბოისა ავარჯიშებდნენ. 22 ნოემბრიდან კი ნაკრების მომზადების პროცესს ილიას ზუროსი უძღვება, რომელიც ნაკრების მოთამაშეებს ჯერ უკრაინასთან მატჩისთვის ამზადებს, რის შემდეგაც მთელ ყურადღებას ესპანეთთან დაპირისპირებაზე გადაიტანენ.

ეროვნულ გუნდს ლეგიონერები პერიოდულად უერთდებიან. სადღეისოდ ნაკრებში ყველა მოთამაშე ჩამოსულია კაპიტნისა და ლიდერის, თორნიკე შენგელიას გარდა, რომელიც თბილისში მოსკოვიდან, ჩარტერული რეისით, თამაშის წინა დღეს გამოფრინდება. შენგელიას გუნდს ევროლიგაში თამაში აქვს და ქართველი ფორვარდი ამ შეხვედრის დასრულებისთანავე აიღებს გეზს საქართველოსკენ.

საქართველოსკენ გეზი აიღო უკრაინის ნაკრებმაც, რომლის მთავარმა მწვრთნელმა აინარს ბაგაცკისმა გამომგზავრებამდე ჟურნალისტებთან ისაუბრა.



**აინარს ბაგაცკისი:**

– ვერ ვიტყვი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი ევრობასკეტის შესარჩევისგან განსხვავდება. ერთადერთი ისაა, რომ აქ 2 საკვალიფიკაციო ეტაპია. ჯერ ერთი უნდა გაიარო, შემდეგ – მე-2. თითოეულ ამ შესარჩევს სპრინტს ვუწოდებ. არ გაქვს შეცდომის უფლება. თითოეულ საკვალიფიკაციო ეტაპზე 6 თამაში იქნება და ვალდებული ხარ, ყოველ მატჩში მაქსიმალურად დაიხარჯო...

უკრაინას დიდი ხანია მსოფლიოს ჩემპიონატზე არ უთამაშია. მიზანი ერთია – ჩემპიონატის შესარჩევის გავლა და ეს რომელი პოზიციით მოხდება, სულ ერთია. ყველას მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაა.

ახლა ყველა ფიქრი საქართველოსკენაა. ერთ დროს იქ ვმუშაობდი. ამბობენ, რომ ქართველთა გუნდში ვიღაც იქნება, ვიღაც – არა. ამ დროს არავის ვუსმენ. ყველაფერს მაშინ დავიჯერებ, როდესაც თამაშის წინ მათ კალათბურთელებს შევხედავ. შერმადინთან და შენგელიასთან ერთად საქართველოს ნაკრები სხვა გუნდია, თუნდაც ერთ-ერთი მათგანის გარეშე – სულ სხვა. ვცდილობთ, მოვემზადოთ როგორც მათ წინააღმდეგ, ისე მათ გარეშე გუნდთან თამაშისთვის...

უკვე ვიცი, საქართველოს ნაკრებთან სასტარტო ხუთეულში ვინ ითამაშებს. ამ მხრივ გარკვეული სიცხადე არსებობს. როდესაც მეტოქის განაცხადს ვნახავთ, შესაძლოა, გარკვეული ცვლილებები შევიტანოთ. ამ დროისთვის გადაწყვეტილება მიღებული მაქვს, თუმცა ჯერ ვერ გეტყვით. ფინალური განაცხადი? საქართველოში 13 კალათბურთელით წავალთ...

ალბათ, მეასედ ვამბობ, რომ ჩვენთვის ნატურალიზაციის საკითხი თვითმიზანი არ არის. უბრალოდ, გუნდში ისეთი მოთამაშის ყოლა, რომელიც პრობლემატური პოზიციის შევსებას ახერხებს, კარგია. ევროპაში ძალიან ბევრი მაგარი ამერიკელი კალათბურთელია, რომელთაც ნატურალიზაციის სურვილი თავადაც აქვთ. ახლა ამას სერბეთიც კი აკეთებს, რომ აღარაფერი ვთქვათ საქართველოზე. მათ იმდენი ნატურალიზებული მოთამაშე ჰყავთ, ორ ნაკრებს გააკეთებენ.

# ჩელსი და მანჩესტერი ფლეი ოფში არიან, ბარსელონის ბედი ბაიერნზე ჰკიდია

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურში კიდევ რამდენიმე გუნდი გაირკვა, რომლებმაც ფლეი ოფის საგზური მოიპოვეს.



### ე ჯგუფი

**დინამო (კ)-ბაიერნი 1:2**

0:1 ლევანდოვსკი (14), 0:2 კომანი (42), 1:2 გარმაში (70)

მიუნხენური გრანდი უკრაინის დედაქალაქს უდანაკარგო ლიდერის რანგში ესტუმრა და ფლეი ოფის საგზურიც განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ამან დინამოელებს ვერ უშველა.

მე-14 წუთზე რობერტ ლევანდოვსკიმ „მაკრატელათი" თავისი მე-9 გოლი გაიტანა ჯგუფურ ეტაპზე და ბომბარდირთა დავაში კიდევ უფრო დაწინაურდა. 42-ე წუთზე კი მიულერი-ტოლისო-კომანის კომბინაცია ფრანგმა ფორვარდმა გოლით დაასრულა.

მე-2 ტაიმში ერთი გოლი შეცვლაზე შესულმა გარმაშმა ციგანკოვის პასით გაქვითა. საბოლოოდ ბაიერნმა მორიგი 3 ქულა მოიპოვა და ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა.

**ბარსელონა-ბენფიკა 0:0**

ამ ჯგუფში მე-2 საგზურისთვის სწორედ ბარსელონა და ბენფიკა იბრძოლებენ. არადა, ბარსა თუ მოიგებდა, მერვედფინალში გასვლას ვადაზე ადრე გაინაღდებდა.

ჩავის დებიუტი ლიგაზე წარუმატებელი გამოდგა, ბარსელონამ ლიგაზე ზედიზედ მესამედ ვერ მოიგო და ფლეი ოფის საგზურის ბედი ვერ გადაწყვიტა. ამის პირველი მიზეზი ბენფიკას გოლკიპერი ვლახოდიმოსი და მისი სეივებია.

ბოლო წამებზე ბენფიკას მოგება შეეძლო, მაგრამ სტუმრებმა ცარიელ კარში ვერ გაიტანეს.

ახლა ბევრი რამ ბაიერნზეა დამოკიდებული, რომელიც ბოლო ტურში ბარსელონას მასპინძლობს და შეუძლია, კატალონიური გრანდი ფლეი ოფს მიღმა დატოვოს. ბენფიკა კი ბოლო ტურში უკვე გავარდნილ დინამო კიევს მასპინძლობს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 5 | 5 | 0 | 0 | 19-3 | 15 |
| 2.ბარსელონა | 5 | 2 | 1 | 2 | 2-6 | 7 |
| 3.ბენფიკა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-9 | 5 |
| 4.დინამო | 5 | 0 | 1 | 4 | 1-9 | 1 |

### ფ ჯგუფი

**ვილიარეალი-მანჩესტერი 0:2**

0:1 რონალდო (78), 0:2 სანჩო (90)

ჯგუფის ლიდერთა მატჩში მანჩესტერმა მოიგო. ოლე გუნარ სოლსკიაერის გათავისუფლების შემდეგ მანჩესტერი მოედანზე დროებითმა თავკაცმა მაიკლ კერიკმა გაიყვანა.

პირველ ტაიმში, რომელშიც გოლი არ გასულა, ესპანური გუნდის უპირატესობა აშკარა იყო, იუნაიტედი კარის დაცვაზე იყო ძირითადად გადართული.

ბრუნო ფერნანდეშის გამოსვლის შემდეგ მანჩესტერის თამაში გაცილებით საინტერესო გახდა, ხოლო მეკარე რულისა და მცველის შეცდომის შემდეგ კრიშტიანუ რონალდუმ ანგარიში 78-ე წუთზე გახსნა.

90-ე წუთზე სტუმრებმა კონტრშეტევაზე იხეირეს, ფერნანდეშის პასით ჯეიდონ სანჩომ ბრწყინვალე გოლი გაიტანა.

იუნაიტედმა 10 ქულა დააგროვა და ფლეი ოფი გაინაღდა.

**იანგ ბოიზი-ატალანტა 3:3**

0:1 საპატა (10), 1:1 სიებატჩეუ (39), 1:2 პალომინო (51), 2:2 სიერო (80), 3:2 ჰეფტი (84), 3:3 მურიელი (88)

ატალანტამ ბოლო წუთებზე აუტსაიდერ იანგ ბოიზიდან ქულა წამოიღო და ფლეი ოფში გასვლის შანსი შეინარჩუნა. არადა, ატალანტა ორჯერ იგებდა თამაშს, მაგრამ საქმე ისე წაუვიდა, რომ ბოლოს ქულაც სანატრელი ჰქონდა. საბოლოოდ, იტალიელებმა ამოცანა შეასრულეს და ახლა ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება, როდესაც ბერგამოელები ვილიარეალს დაუხვდებიან და მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-7 | 10 |
| 2.ვილიარეალი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 3.ატალანტა | 5 | 1 | 3 | 1 | 10-10 | 6 |
| 4.იანგ ბოიზი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-11 | 4 |

### ჯ ჯგუფი

**ლილი-ზალცბურგი 1:0**

1:0 დევიდი (31)

ლილი საფრანგეთის ჩემპიონატში ისე ვერ გამოიყურება, როგორც გასულ, საჩემპიონო წელს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფს კი ლიდერობს. ფრანგულმა კლუბმა ამჯერად ჯგუფის ლიდერი ზალცბურგი დაამარცხა და პირველ ადგილზე თავად გადაინაცვლა.

ერთადერთი გოლი დევიდმა პირველივე ტაიმში გაიტანა და ფრანგებს შანსი დაუტოვა.

**სევილია-ვოლფსბურგი 2:0**

1:0 ჟორდანი (13), 2:0 რაფა მირი (90)

სევილია ამ ტურამდე ბოლო ადგილზე იყო და ფლეი ოფის შანსი თითქმის დაკარგული ჰქონდა, თუმცა ანდალუსიელებმა შინ ჟორდანისა და რაფა მირის გოლებით მოიგეს და ახლა გადამწყვეტი მატჩი ელით ზალცბურგთან, სადაც აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ.



**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-3 | 8 |
| 2.ზალცბურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 3.სევილია | 5 | 1 | 3 | 1 | 5-4 | 6 |
| 4.ვოლფსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |

### ჰ ჯგუფი

**ჩელსი-იუვენტუსი 4:0**

1:0 ჩალობა (25), 2:0 ჯეიმსი (56), 3:0 ჰადსონ-ოდოი (58), 4:0 ვერნერი (95)

იუვენტუსი ფლეი ოფში გასული იყო, შარშანდელი ლიგის ჩემპიონს კი ეს ამოცანა გადასაჭრელი ჰქონდა.

იუვენტუსი განახევრებული შემადგენლობით ჩავიდა ლონდონში და ეს ანგარიშზეც აისახა. ჩელსიმ „გადაუარა" მეტოქეს, ფლეი ოფის საგზურიც მოიპოვა და ჯგუფიდან პირველი ადგილით გასვლის შანსიც დაიტოვა.

**მალმიო-ზენიტი 1:1**

1:0 რიეკსი (28), 1:1 რაკიცკი (90პ)

90-ე წუთზე რაკიცკის გატანილი პენალტით ზენიტი ევროპა ლიგაზე ითამაშებს. არადა, მალმიო თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში იგებდა და თავად აპირებდა შემდეგ ეტაპზე გასვლას. თუმცა მასპინძლებმა ბოლომდე ვერ გაძლეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-1 | 12 |
| 2.იუვენტუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-6 | 12 |
| 3.ზენიტი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-7 | 4 |
| 4.მალმიო | 5 | 0 | 1 | 4 | 1-13 | 1 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**23 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

დინამო (კ)-ბაიერნი ........................ 1:2
ბარსელონა-ბენფიკა ........................ 0:0
ვილიარეალი-მანჩესტერი ............. 0:2
იანგ ბოიზი-ატალანტა .................. 3:3
ლილი-ზალცბურგი .......................... 1:0
სევილია-ვოლფსბურგი ................... 2:0
ჩელსი-იუვენტუსი ............................ 4:0
მალმიო-ზენიტი ............................... 1:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბლექპული-ვესტ ბრომვიჩი ............ 0:0
ქოვენთრი-ბირმინგემი ................... 0:0
მიდლსბრო-პრესტონი .................... 1:2
ნოტინგემი-ლუთონი ........................ 0:0
რედინგი-შეფილდი .......................... 0:1

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ტექსტიდან სიტყვასიტყვით მოყვანილი ნაწყვეტი; 2. კერძო მეწარმე სოფლად; 3. პირველი მაჯის საათების შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი; 4. მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის იტალიური ენციკლოპედია; 8. იტალიელი საესტრადო მომღერალი, კინომსახიობი მამაკაცი; 9. სითხის ან აირის წნევის გასაზომი ხელსაწყო; 11. პატარა თევზსაჭერი გემი; 12. რევაზ ლაღიძის ოპერა; 14. მდინარე ფლორენციაში; 16. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 17. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 19. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. გერმანელი ფილოსოფოსი.

**თარაზულად:** 5. თვალის რქოვანი გარსის ანთება; 6. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 7. ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი მამაკაცი; 10. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი მექანიკოსი; 13. ოქროს მოპოვებისა და დამუშავების ცენტრი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 15. უმოტორო თვითმფრინავი; 18. ქართველი მსახიობი მამაკაცი, ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი; 20. ფრანგული საიუველირო ფირმა; 22. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 23. ეკოლოგთა, მწვანეთა საერთაშორისო ორგანიზაცია; 24. კოსმოდრომი იაპონიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ენგური; 2. კიოტო; 3. ანიელი; 4. თემიდა; 6. გულიაში; 9. ბლუზი; 11. კონფუცი; 12. ლითოსფერო; 16. ქენონი; 17. ტალახაძე; 19. ამნეზია; 21. პატენტი; 22. ბატატი.

**თარაზულად:** 5. ანაჰაიმი; 7. უნიკუმი; 8. ამლახუ; 10. ალბიონი; 12. დრაგი; 13. ზლოტი; 14. ყიზილბაში; 18. კაფია; 20. გერანო; 23. ფაუსტი; 24. ტუფი; 25. ჩანახი; 26. ტარო; 27. ატლანტა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იამოტო; 2. კრაზანა; 3. ფუკუსიმა; 4. მირაბელი; 8. კარბონადო; 9. მიკოლოგია; 11. კნეთელი; 12. კარე; 14. წიდა; 16. გლდანულა; 17. შატბერდი; 19. კულაკი; 21. შატლი.

**თარაზულად:** 5. მურყვამი; 6. სათაფლია; 7. ნატახტარი; 10. ტიტანი; 13. პიკოლო; 15. არითმია; 18. ალდაგი; 20. კრისტი; 22. ბალახვანი; 23. პლესეცკი; 24. ალავერდი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1153

ევრო — 3.4935

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1627

100 რუსული რუბლი — 4.1752

## ამინდის პროგნოზი 25 ნოემბრისათვის




## პიკე: „ბაიერნის დამარცხება შეგვიძლია“



ბარსელონის ცენტრალურმა მცველმა ჟერარდ პიკემ ბაიერნთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია ბაიერნის დამარცხება, რადგან ბარსელონისთვის დაუმარცხებელი მეტოქეები არ არსებობს:

– ბარსელონას ყოველთვის შეუძლია სასურველი შედეგის მიღწევა და წარსულში ეს არაერთხელ დაგვიმტკიცებია, თუმცა წინასწარ საუბარი რთულია. ვიცით, რომ ბაიერნის დამარცხება გაგვიჭირდება, მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ.

## ჩაკვეტაძე, შესაძლოა, გენტიდან წავიდეს



გიორგი ჩაკვეტაძის ბელგიური კარიერა, შესაძლოა, დასასრულს მიუახლოვდეს, რადგან მას გენტში დარჩენა აღარ სურს. ბოლო პერიოდში ჩაკვეტაძე საკმაოდ იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში და ამის გამო ის უკმაყოფილებას არ მალავს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ სად შეიძლება გააგრძელოს კარიერა გიორგიმ.

მის აგენტზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## გოგონამ ბრინჯაოს ხანის განძს მიაგნო



ახალგაზრდა განძის მაძიებელმა ინგლისის სუფოლკის საგრაფოს ქალაქ მილდენჰოლიდან ბრინჯაოს ხანის ცულის პირი იპოვა და კონკურენტებში შური გამოიწვია.

13 წლის მოსწავლე გოგონა მილი ჰარდვიკი თავის 51 წლის მამა კოლინთან ერთად განძის ძიებით არის დაკავებული.

– ყოველ ჯერზე, როდესაც განძის საძიებლად მივდივარ, ყოველთვის რაიმეს ვპოულობ. ვიპოვე მოოქროვილი ღილი და დედოფალ ელისაბედის მონეტა. მომწონს, როდესაც რამდენიმე საათის მინდორში გატარების შემდეგ მესმის ლითონმაძიებლის სიგნალის ხმა. იქ შეიძლება ნებისმიერი რამ აღმოჩნდეს, – განაცხადა გოგონამ.

როდესაც მამა-შვილი მესამედ გაემგზავრა განძის საძიებლად ჰარტფორდშირის საგრაფოს ქალაქ როისტონის მახლობლად მდებარე მინდორში, მილიმ 65 უძველესი ქვის ცულების პირები აღმოაჩინა. ისინი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1300 წლით თარიღდება. გოგონას სწავლის გაცდენა მოუხდა იმისთვის, რომ სწორად გაეფორმებინა საკუთარი აღმოჩენა. გოგონას 48 წლის დედა კლერმა განაცხადა, რომ მისი შვილის საოცარმა აღმოჩენამ სხვა არქეოლოგებში შური გამოიწვია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ქალი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, რომელ პოზაშია შესაძლებელი, რომ ქალი ასპროცენტიანი გარანტიით არ დაფეხმძიმდეს?

– როდესაც შენ – საწოლში, შენი პარტნიორი კი დივანზე წევხართ.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– იცი, დღეს კეთილი საქმე გავაკეთე...

– რა საქმე?

– ამ დილით ჩემს პიტბულს ვასეირნებდი, დავინახე, რომ მამაკაცი ავტობუსის გაჩერებისკენ გარბოდა და ჩემს ძაღლს საბელი მოვხსენი...

– მერე?

– მამაკაცმა ავტობუსს მიასწრო.

•••

ორი ხანშიშესული მამაკაცი ქუჩაში ზის. ამ დროს მათ წინ მაგარმა ქალმა ჩაიარა. ერთი მეორეს ეუბნება:

– აფსუს, ახლა 20 წლის გამხადა!

– შენ რა, გაგიჟდი? ხუთი წუთის სიამოვნებისთვის კიდევ 40 წელი გინდა იმუშაო?!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩვენი მედიცინის ვერაფერი გავიგე...

– რაშია საქმე?

– რა და ცოტა ფული გაქვს და არ გიმკურნალებენ და გამოგიშვებენ, ბევრი ფული გაქვს და არც განგკურნავენ და არც გიშვებენ.

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– თუ უხერხული არ იქნება, ხომ ვერ მეტყვით, რამდენი წლის ბრძანდებით?

– გამოიცანით! – კეკლუცობს ქალი, – მინიშნებას მოგცემთ, ჩემი გოგონა საბავშვო ბაღში დადის.

– რა, გამგედ მუშაობს?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნინი სუხიტაშვილმა რჩეული გამოაჩინა



მომღერალმა ნინი სუხიტაშვილმა რჩეული გამოაჩინა. ხელოვანის საყვარელი მამაკაცი ნოდარ ჩაჩანიძეა.

სასიხარულო ინფორმაცია სოციალურ ქსელში ნინის ძმამ, მომღერალმა გიორგი სუხიტაშვილმა გაავრცელა:

„ამ ორმა, ჩემმა დამ და ამ ყმაწვილმა, რომელსაც ალბათ სიძეს დავუძახებ, მიჩვევის ამბავია, ან არ დავუძახებ, ერთმანეთს უთხრეს, ვიცხოვროთ ერთად, ვიდრე სიკვდილი, ჯანდაბა და დოზანა არ დაგვაცილებსო. პირი ქვისკენ მიქნია.

ჩემი და რომ მიყვარს, ამაში რა არის გასაკვირი და საბლატაო. ეს ადამიანიც მიყვარს, არამხოლოდ გუშინდელი დღიდან, მანამდეც, უბრალოდ, ხომ იცით ქართლის ამბავი, სახეზე რომ გვაწერია, მე შენ არ გიცნობ, ვინა ხარ, საიდან მოხვედიო, მაგრამ, შინაგანად რომ ეუბნები, ტაში, ბიჭო, ტაშებიო, ბიჭოვ, გენათალებიო.

ჰოდა მიხარია ძალიან. ჩემმა დამ პირველად ხარისხიანი რაღაცა შეიძინა თავისი გემოვნებით. დაო, მიყვარხარ! შენა კიდევა მევასები – ნოდარ ჩაჩანიძე“.

## ერეკლე დეისაძემ ახალი ალბომი ჩაწერა



მომღერალმა და მწერალმა ერეკლე დეისაძემ მსმენელს სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა.

მან გულშემატკივრებს ამცნო, რომ ახალი ალბომი ჩაწერა. „ამ ენით ამენ“ – ასე ჰქვია ალბომს, რომელიც 25 ნოემბრიდან ყველა მუსიკალურ პლატფორმაზე გამოჩნდება.

## ნანი ბრეგვაძემ მცხეთაში კონცერტი გამართა



მომღერალმა ნანი ბრეგვაძემ საიუბილეო თარიღის ეგიდით მცხეთაში კონცერტი გამართა.

2021 წელს ქართული ესტრადის დედოფალი 85 წლის გახდა. ეს საიუბილეო თარიღი მთელი წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დაგეგმილი კონცერტებით აღინიშნება.

მცხეთაში გამართულ კონცერტში ნანი ბრეგვაძესთან ერთად მონაწილეობა მიიღეს მისმა შვილმა ეკა მამალაძემ და შვილიშვილმა ნატალია ქუთათელაძემ.

ნანი ბრეგვაძე საქართველოს სახალხო არტისტის წოდების მფლობელია. 2001 წელს ფილარმონიის წინ საზეიმოდ გაიხსნა მომღერლის სახელობის ვარსკვლავი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

## ლახამულის ოთხთავი რესტავრირებულია



ლახამულის ოთხთავის რესტავრაცია დასრულდა. მესტიის მუნიციპალიტეტის ლახამულის თემის გადაწყვეტილებით, სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები ეროვნული არქივის დოკუმენტების რესტავრაციის ლაბორატორიაში გასული წლის მაისში დაიწყო. სამუშაოები 18 თვეს გაგრძელდა, რომელთა დასრულების შემდეგ XII საუკუნის ხელნაწერი ისევ სოფელ ლახამულში დაბრუნდა.

ლახამულის ოთხთავის რესტავრაციისა და კონსერვაციის სამუშაოებზე რამდენიმე რესტავრატორი მუშაობდა. ხელნაწერის ყოველ ფურცელს ჩაუტარდა დეზინფექცია, დარბილდა და გაიწმინდა მშრალი და სველი წესით, შეივსო ნაკლული და დაზიანებული ადგილები. პარალელურად მიმდინარეობდა ხელნაწერის სამეცნიერო შესწავლა და ციფრული ასლის დამზადება.

ეტრატზე შესრულებულ ლახამულის ოთხთავს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ოთხთავების გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის შესწავლისათვის.

ამ ხელნაწერს არაერთი მინაწერი ახლავს, რომლებიც უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის ლახამულის ხევის სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და რელიგიური ყოფის შესახებ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მამაკაცმა საკუთარი ავტომობილი გონდაკარგული ქალის გადარჩენას შესწირა

ჰოლანდიურ საზოგადოებრივ გაერთიანება „ნიუნსპეტში“ მძღოლმა საკუთარი ავტომობილი გონდაკარგული ქალის გადარჩენას შესწირა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა.



ვიდეორეგისტრატორის მიერ გაკეთებულ ჩანაწერში, რომელიც უკან მოძრავი ავტომობილის სალონში იყო დამონტაჟებული, ჩანს, რომ ერთ-ერთი ავტომობილი, სავარაუდოდ, უკონტროლო გახდა. ის დიდი სისწრაფით გზატკეცილის პირას, გაზონზე გადავიდა, რამდენიმეჯერ დაეჯახა გზატკეცილის წინაღობას, მაგრამ მოძრაობას აგრძელებდა. რამდენიმე წამში მის წინ ჩადგა ავტომობილი, რომლის საჭეს ჰენრი ტემერმანსი მართავდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცი სახლში ბრუნდებოდა, რა დროსაც უცნაურად მოძრავი ავტომობილი შენიშნა.

– ის, რაც დავინახე, პრობლემაზე მეტყველებდა. აშკარა იყო, რომ ქალს გონება ჰქონდა დაკარგული. ერთ წამსაც არ მიყოყმანია იმაზე, თუ რა უნდა გამეკეთებინა, – განმარტა ტემერმანსმა.

უმართავი ავტომობილის შესაჩერებლად მამაკაცმა მანქანას გაასწრო და ქალს მის მანქანაზე დაჯახების საშუალება მისცა. ტემერმანსმა შენიშნა, რომ ქალს აღებინა და მისი გონს მოყვანა ცადა. მან სასწრაფო დახმარება გამოიძახა. შეჯახების შედეგად ქალს ხუთი ნეკნი ჩაემტვრა.

გარკვეული დროის შემდეგ შემთხვევის ადგილზე ტემერმანსის დაზიანებული ავტომობილის წასაყვანად პოლიცია მივიდა. თავად მამაკაცი კი სახლში სხვა მძღოლმა წაიყვანა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 25 ნოემბრისათვის

**ვერძი** – მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. პასუხისმგებლობას ნუ გაექცევით. **კურო** – შემოსავალი საგრძნობლად გეზრდებათ. შრომა გიფასდებათ. ბედს არ ემდურით. **ტყუპები** – აგრესიულობა და თავშეუკავებლობა მატერიალურად დაგაზარალებთ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნუ გამოჩნდებით. **კირჩხიბი** – მეგობრებისგან დახმარება გჭირდებათ. თავს ზედმეტად ნუ დაიფასებთ. **ლომი** – ინფორმაციის არასათანადო შეფასება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას სიფხიზლე გმართებთ. პატარა შეცდომაც კი სავალალო იქნება. **სასწორი** – ფასეულობების გადაფასების დროა. ახალი იდეების განხორციელება მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. **ღრიანკალი** – სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. ენერგიულობისა და ოპტიმიზმის წყალობით საქმეებს თავს წარმატებით გაართმევთ. **მშვილდოსანი** – ახალგაცნობილ ადამიანებს გულისნადებს ნუ გაუმხელთ. იკვებეთ ჯანსაღად. **თხის რქა** – საყვარელ ადამიანს გულს ნუ ატკენთ. თავქარიანობა და ფუქსავატობა საქმეს გაგიფუჭებთ. **მერწყული** – საქმე დიდი ყურადღებით აკეთეთ. გაითვალისწინეთ გარშემომყოფთა ინტერესებიც. **თევზები** – ოცნების კოშკებს ნუ ააგებთ. რეალური საქმით დაკავდით. ჯანმრთელობას მიხედეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 2. შოტლანდიელი მამაკაცის კაბა; 3. ხელოვნური არხების სახელწოდება ნიდერლანდებში; 4. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 6. ბოლესლავ პრუსის რომანი; 9. პირველი, ახლადმოსული თოვლი; 11. უცნაური, სასაცილო, სასეირო შემთხვევა, ამბავი; 15. ფრანგი მწერალი, მეიგავე; 16. დამატებითი ჯილდო, პრემია; 17. კორიდის ცხენოსანი მონაწილე; 19. შინაგანი ბიძგი, მისწრაფება; 21. ლეღვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 22. სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 5. ქართველი დრამატურგი, თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 7. სახელმწიფო ევროპაში; 8. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 10. სამრეწველო საწარმო; 12. ხორბლის ქართული ჯიში; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 14. სურსათ-სანოვაგის ბაზარი ძველ თბილისში; 18. ხორცის შესაწვავი მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 20. ოპერა „სევილიელი დალაქის“ კომპოზიტორი; 23. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 24. მდგომარეობა ჭადრაკში; 25. ისრაელის დაზვერვა; 26. დედალი ჯიხვი; 27. ტროპიკული ხილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

